ცნობის ფურცელი

№ 2121 კვირა, 13 აპრილი 1896—1903 სურათ.-დღიური გამოცემა № 2121

ფასები დარჩა: წელიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში განკის ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ამ ნომერში იქნება 6 გვერდი

„ცნობის ფურცლის“ შემდეგი 2122 №-რი გამოვა სამშაბათს, 15 აპრილს

ამ ნომერთან ხელის მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების“ მე-108 №-რი.

სპირიდონ გიორგის ძე სიხარულიძე გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელის ძმის

იორდანე გიორგის ძის სიხარულიძისას.

გარდაცვალებულის გვამს ქუთაისიდან სამტრედიაში გაასვენებენ 11 აპრილს, ხოლო სამტრედიიდან გურიაში სოფ. ერკეთს 13 აპრილს, შუადღის 12 საათზე. (3—2)

უმთავრესი კანტორა დ. ზ. სარაჯიშვილისა ქ. ტფილისში აცხადებს, რომ საუკეთესო ვენახების

კახურის ღვინის

შესანახად და დასაძველებლად, 1903 წლის 1 იანვრიდან დაქირავებულია სარდაფები **პეტრუშა მაკაროვისა**. კანტორა და მაღაზია ღვინის ვაჭრობისა იმავე სახლშია (ოლღას ქუჩა, ტელეფონი № 150).

ღვინოები ისყიდება ბოთლი 25 კაპ. დაწყებული.

ნარდად მსყიდველთ და მუდმივ მუშტარს ნაკლებად მიეცემა; ათ ბოთლზე ნაკლები თუ არ მოითხოვა მუშტარმა, ღვინოს კანტორა სახლში თვითონვე მიუტანს.

ღვინო იყიდება:

საწყობში—გოლოვ. პროს. სახ. დობრჟანსკისა, ტელეფ. № 595.

დეპო № 1, სასახლის ქუჩა, საკუთარი სახლი, ტელეფ. № 60.

დეპო № 2, თავ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ ტელეფ. № 210.

კავკასიის აფიც. საზოგ., რკინის გზის მოხელეთა მომხმარებ. საზოგადოებისა, შაქიევისა, მანიევისა, აკოფოვისა და სხვა საგასტრონომიო მაღაზიაში. (0—13)

სეტყვის ამაცდენელი ზარბაზანი (მორტირა)

კელენის სისტემისა

„ი დ ე ა ლ“

საერთაშორისო კონგრესზე ლიონში **უმაღლესი ჯილდო** მიუღია. მკვიდრად გაკეთებულია და ხმარებაც **სულ უშიშრად** შეიძლება. სრულიად რუსეთისათვის ერთად-ერთი წარმომადგენელია **პეტრე ყიფიანი** ტფილისში, ოლგინსკი ქუჩა, სახლი მაკაროვისა. **ტელეფონი** 150. ზარბაზნების საწყობი სარაჯევის სახლშია წყნეთის ქუჩაზე. (0—17)

ქართული წარმოდგენა
(სოფ. დიღომში).
ორშაბათს, 14 აპრილს, 1903 წ.
პროვინციალურ სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება:

I

ყაჩაღები

ბოლო მოქმედება შილლერის ტრაგედიიდან.

II

დედა და შვილი

ისტ. სურ. 1 მოქმ. ი. ჭავჭავაძისა.

III

არც აქეთ, არც იქით

ვოდ. 1 მოქმ. გადმ. ვ. გუნიას მიერ.

IV

დამბაჩა და რევოლვერი

ვოდ. 1 მოქ. გადმ. კ. ნასიძის მიერ.

V

ო რ ი მ ში ე რ ი

ვოდ. სიმღერით 1 მოქ. გად. დ. აწყურელის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ. დ. იონაშვილი; ბ.ბ. გ. მჭედლიშვილი, მარი, ჯავახიშვილი, მირველოვი, ასლამაზოვი, მამულაძე, ალხაზი და ხორო.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

საზოგადო კრება

დანიშნულია ამხანაგობისავე სადგომში (განკის ქუჩა),

კვირას, 20 აპრილს, საღამოს 8 საათზე.

ეს კრება გაგრძელებაა 2 აპრილს შემდგარის საზოგადო კრებისა.

ცალკე მოსაწვევი ბარათები არავის არ გაეგზავნება, რადგან წევრთა უმრავლესობის ადრესები არ არის კანტორაში.

კრებაზე დასწრება შეუძლიანთ მხოლოდ წევრთ. (3—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

მ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მუხინი. ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.

მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ბ. ნ. მადლაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

დ. ი. ქამოევი.—საშარდე (ხირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათ $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვების და ბავშვების: კვირაობით 10—12.

ბ. მ. ამბარდანოვი—სიფილისის, კანის და საშარდის 1—2 საათამდე.

ბრ. მ. ხოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ბ. ნ. მადლაშვილი—შინაგანი, ბავშვების და ქალების ავრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუდმივი ექიმი ბ. დ. ნახარიძე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოფები—სამ მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სავინაშვილის, №-21. (ოლღას ქუჩის დასაწყისში.) ტელეფონი № 274 (წ.

ჩვეულებრივი

საზოგადო კრება

ქუთაისის სამეურნეო ამხანაგობის „კოლხიდის“ წევრებისა

დანიშნულია ქუთაისში საურთიერთო საზოგადოების სადგომში 18 მაისისათვის 1903 წ. საღამოს 7 საათზე.

განსახილველი საგნები:

1) 1902 წ. ანგარიშის განხილვა და დამტკიცება; 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება; 3) ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება; 4) განხილვა გამგეობის, ამხანაგობის წევრებისა და სარევიზიო კომისიის მოსაზრებებისა ამხანაგობის მოქმედების შესახებ; 5) ახალ წევრების მიღება; 6) არჩევა გამგეობის ერთის წევრისა; 7) არჩევა გამგეობის წევრის კანდიდატისა; 8) სარევიზიო კომისიის სამის წევრების არჩევა. (ნ. 1—1)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. **ტელეფონი 642**

ბუხჰალტერი-სპეციალისტი

ამზადებს მსურველთ როგორც თეორეტიულად, ისე პრაქტიკულად მარტივ და იტალიანურ ბუხჰალტერიასა, კომერციულ არითმეტიკასა, ფინანსიურ გამოანგარიშებასა და კორესპონდენციაში.

ფასი მორიგებით.

მსურველთ ვთხოვ მოგვმართონ შემდეგის ადრესით: ახალციხის შესახვევი, სახლი 17, ბუხჰალტერს. (3—1)

თავად-აზნაურთა კრების გამო

ამ მოკლე ხანში ტფილისშიაცა და ქუთაისშიაც მოხდება მორიგი კრება თავად-აზნაურთა

ჩვენში თავად-აზნაურთა კრებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შიდა რუსეთთან შედარებით. ჩვენს ქვეყანაში ჯერ არ არსებობს სხვა ადგილობრივი თვით-მმართველობითი დაწესებულება, რომელსაც შეეძლოს ხმა აღამაღლოს თავად-აზნაურობისა და ამასთანავე ქვეყნის საერთო საჭიროებაზე; თავად-აზნაურობას კი მინიჭებული აქვს უფლება იშუამდგომლოს ამა თუ იმ საჭირ-ბოროტო საქმეზე, აღნიშნოს ესა თუ ის საზოგადო მოთხოვნილება და ვარამი. დღემდის ჩვენ თავადა-აზნაურობას ტფილისშიაც და ქუთაისშიაც უსარგებლია ამ უფლებით და სხვა-და-სხვა დროს აღუძრავს საკითხები ერობის, ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს, უმაღლესს სასწავლებლის და სხვა ამ გვარ საქმეთა შესახებ.

როდესაც თავად-აზნაურობა ასეთ საჭიროებაზე შუამდგომლობს, ის საერთო საქვეყნო საქმეს ემსახურება და მისი როლიც საპატიოა; ხოლო თუ ის თავის მოვალეობას ავიწროვებს და კერძო წოდებრივ ინტერესების დასაცველად გამოდის, მას ქვეყანასთან შემაერთებელი კავშირი ესპობა და საზოგადოებრივ ელემენტის მნიშვნელობა ეკარგება...

ეს გარემოება არ უნდა დაივიწყოს ჩვენმა თავად-აზნაურობამ სწორედ ახლა, ამ ჟამად. არა ერთხელ აღგვინიშნავს სხვა-და-სხვა ალაგას ჩვენს გაზეთში, რომ ჩვენის დროის გავლენა ცხადად ატყვია რუს თავად-აზნაურობის თანამედროვე სურვილსა და განზრახვათ. ვინც ბეჯითად ადევნებდა თვალ-ყურს თუნდ ამ წლის რუსეთის ერობათა კრებებს, თავად-აზნაურთა დაწესებულებათა მოქმედებას, სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა კომიტეტების მოღვაწეობას, ის უთუოდ შეამჩნევდა, რომ რუსის თავად-აზნაურობა, რომელიც კარგა ხანია ორ-ნაწილად გაიყო, თან-და-თან გამოდის უფრო შეგნებულის, უფრო გამორკვეულის პროგრამით. ერთი ნაწილი—უმცირესობა უფრო და უფრო ავიწროვებს თავის წოდებრივ პროგრამას; მეორე ნაწილი კი—უმრავლესობა მკაფიოდ აღნიშნავს საზოგადოებრივ მისწრაფებათ, რომელნიც სრულს თანხმობაში არიან რუსეთის საზოგადოების მოწინავე ნაწილის სურვილებთანა და მისწრაფებასთან.,.

ასეთ გარემოებებში და აგრეთვე იმ დროში, როდესაც თვით სახელმწიფოს მიერ წამოყენებულია გარდასაწყვეტად მთავარი საკითხები, როდესაც ცხოვრება დაჟინებით მოითხოვს პასუხს სხვა და-სხვა საჭირბოროტო საქმეზე, თავად-აზნაურთა კრებას უფრო მეტად ჰმართებს მხნედ და თამამად ხაზი გაუსვას ჩვენის ქვეყნის საზოგადო საჭიროებათ, და აგრეთვე თანაგრძნობით მხარი დაუჭიროს რუს თავად-აზნაურობას, რომელიც, სხვა ელემენტებთან ერთად წინსვლას მოითხოვს...

წრევანდელ კრებებზედაც მიეცემა ჩვენს თავად-აზნაურობას შემთხვევა ხმა ამოიღოს საერთო საქვეყნო საქმეების გამო. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენში სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა სამაზრო კომიტეტები არ ყოფილა, ხოლო საგუბერნიო კომიტეტები საფსებით ვერ შეეხნენ ყველა ჩვენ საჭიროებათ; მაგალითად ერობის შემოღებას, კავკასიაში უმაღლეს სასწავლებლის დაარსებას, ადგილობრივ ენების პროგრამას დაბალ და საშუალო სკოლებში და სხვათ. ყველა ამ საგნების გამო თავად-აზნაურობას შემთხვევა ეძლევა თავისი საზოგადო აზრი გამოსთქვას და ისეთი შუამდგომლობანი აღძრას, რომელნიც სრულს ჰარმონიაში იქნებიან როგორც ჩვენის ქვეყნის, ისე მთელის რუსეთის საერთო მოლოდინთანა და სურვილთან...

საზღვარ-გარედ

ბალკანეთი. საინტერესო წერილია დაბეჭდილი „პეტ. ვედ.“-ში შესახებ მაკედონიის კითხვისა. წერილის ავტორი ჰგოდებს იმის გამო, რომ რუსეთის ეხლანდელი პოლიტიკა ბალკანეთის ნახევარ-კუნძულზე ეწინააღმდეგება იმპერიის არსებით ინტერესებს ახლო აღმოსავლეთში.

„მფარველი-რუსეთი გაჰქრება ბალკანეთის ხალხთა მახსოვრობიდან, დარჩება მხოლოდ მოგონება იმისა, რომ სლავები მოტყვილდნენ, როცა რუსეთის დახმარების იმედი ჰქონდათ უკიდურეს გაჭირვების დღეს. ეხლა გარეშე ის გარემოება, რომ ჩვენის პოლიტიკით დაუპირდაპირეთ ერთმანეთს ბალკანეთის სახელმწიფოების მთავრობანი და ხალხები, რადგან მთავრობანი ვაიძულეთ მისდიონ პასიურ პოლიტიკას, რომელიც ასე არ მოსწონს ხალხს. ვშიშობთ, რომ საქმეთა ეხლანდელ მდგომარეობას ორი შედეგი მოჰყვება: ან მთავრობანი დამხობილნი იქმნებიან ან და უფრო აქტიურ პოლიტიკას შეუდგებიან წინააღმდეგ ჩვენის (რუსების) რჩევა-შეგონებისა. ერთიცა და მეორეც დიდად საზარალოა რუსეთისათვის, რადგან დავკარგავთ ბალკანეთის ხალხების ნდობასა და გულს“.

რაც შეეხება ამ ნდობისა და გულის და-

კარგვას, პროცესი უკვე მეტად ძლიერია, რაც შემდეგ გარემოებიდანაც სჩანს. „პრავიტ. ვესტნიკ“-ში გამოქვეყნებული იყო რუსეთის კონსულების მოხსენებანი მაკედონელთა მოძრაობის შესახებ. კონსულები მეტად ჰკიცხავდნენ მაკედონელ მეთაურებსაც და ბოლგარელებსაც და სწორედ ამან გამოიწვია დიდი მღელვარება როგორც მაკედონიაში, ისე ბოლგარიაშიაც. სოფიიდან იწერებიან, რომ ადგილობრივ პოლიტიკურ წრეებში დიდი აღშფოთებაა „პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილ მოხსენებათა გამო. თვით უკიდურეს რუსოფილებს შორისაც კი (ამათ ცანკოვი მეთაურობს) დიდი უკმაყოფილებაა. ეხლანდელი პირველი მინისტრი იძულებული შეიქმნა პროტესტით მიემართა რუსეთის მთავრობისათვის ასეთ ტენდენციურ ცნობების გამოქვეყნების გამო.

ეხლა-ხან სატუსაღოდან გამოშვებულ პროფესორ მიხაილოვსკის (დახურულ კომიტეტის თავმჯდომარეა) უნდოდა საჯარო ლექცია წაეკითხა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ბოლგარელები რუსეთის დიპლომატების ეხლანდელ ქცევის დროს. მთავრობამ ხელი შეუშალა პროფესორს, რომელიც ამის გამო დანევთან წავიდა მოსალაპარაკებლად. დანევს დაერწმუნებია მიხაილოვსკი, რომ შემდეგისათვის რუსის კონსულები ველარ გაბედავენ ტენდენციურ ცნობების გაგზავნას პეტერბურგში და ეთხოვა ლექციის წაკითხვა გადაედო იმ დრომდე, სანამ თვითონ არ დარწმუნდებოდა მინისტრის სიტყვის სინამდვილეში. მიხაილოვსკის, სხვათა შორის, უთქვამს: „რუსის დიპლომატები ბრალს სდებენ მაკედონელებს, რომ მშვიდობიანობას არღვევენ მაკედონიაში; ოსმალეთის მთავრობის მოქმედებაზე კი არას ამბობენ. ამითი რუსის კონსულები აგულიანებენ სულთანსა და მის ჩალმიან ჯალათებს, რომ ჟლიტონ მაკედონელი ქრისტიანები. გარდა ამისა, რუსეთი სარგებლობს ბოლგარიის მთავრობის რუსოფილობით, რომ ბოლგარიის წინააღმდეგ პოლიტიკას მისდიოს: მაგალითად რუსის კონსულები ამჯანყებულებს ეძახიან ბოლგარიის სავაჭრო აგენტებსაც კი. და ბოლოს რუსეთის დიპლომატია ჩირქსა გვცხებს ჩვენ, მაკედონურ ორგანიზაციის მეთაურებს, ან უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, გამოჩენილ მაკედონელ მოღვაწეებს: ვითომ ჩვენ ისეთი ხალხი უნდა ვიყოთ, რომელსაც მხოლოდ დიდ ადგილების მიღება უნდა, როცა მაკედონია განთავისუფლდება და ავტონომიას მიიღებს. ნუ თუ ყველა ეს მავნებელი არ იქნება სამხრეთ სლავების ინტერესებისათვის“.

✦ როგორი უნდა იყოს ევროპის სახელმწიფოების პოლიტიკა ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე? ამ კითხვაზე ზევით ნახსენებ წერილის ავტორი სწერს: „რუსულ მწერლობაში ამ ბოლოს დროს ხშირად საყვედურობენ ავსტრიას, რომ რუსეთის გავლენის შემცირებას სცდილობს საკუთარ ინტერესებისათვისო. ასეთი საყვედური მოკლებულია თუ საფუძველს არა, საქმის პრაქტიკულ შეგნებას მაინც. ავსტრია არც მტერია ჩვენი (რუსების), არც მეგობარი; იგი ეგოისტურია; და პოლიტიკაში ეს არის ერთად-ერთი შესაძლებელი და სიცოცხლის მქონებელი წესი. კაცთ-მოყვარული მისწრაფება და სურვილი პოლიტიკაში სრული უაზრობაა და სასტიკადაც ისჯება, რადგან პოლიტიკა იმდენად პრაქტიკული და თავის მოყვარე რამ არის, რომ ნებას არავის მისცემს გადუდგეს მის ძირითად პრინციპებს; ამ პრინციპების მიხედვით მოქმედებენ და სცხოვრებენ ყველა ქვეყნის ყველა ხალხები, ამ პრინციპებით ხელმძღვანელობდნენ მთელი საუკუნოები. იქ, სადაც ძალა სამართალზე მაღლა სდგას, როგორც ეხლა, მხოლოდ იმაზე უნდა იზრუნო, რაც შენთვის არის სასარგებლო; სხვას რაც არგებს, ის შენი საქმე არ არის. თუ ორი ქვეყნის ინტერესი ერთგვარია, შეუძლიათ ერთად თანხმობით მოქმედება; თუ ეს არ არის, ხელოვნურად შექმნა საერთო მოქმედებისა ან შეუძლებელია, ან ადრე თუ გვიან კატასტროფას გამოიწვევს. და განა შესაძლებელია, რომ ავსტრიისა და რუსეთის ინტერესი ერთი და იგივე იყოს ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე?“

ახალი ამბავი

✦ 15 აპრილისთვის დანიშნულია სხდომა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოსი, რომელმაც უნდა განიხილოს მოხსენება ი. ალიბეგოვისა კავკასიაში საყოველთაო და **სავალდებულო სწავლების შემოღების** შესახებ. ამავე საღამოს საბჭომ უნდა განიხილოს საკითხი იმის შესახებ, რა ტიპის უმაღლესი სასწავლებელია საჭირო კავკასიისათვის.

✦ ხვალ, 14 აპრილს, სხდომა ექმნება საბჭოს იმ კომისიას, რომელსაც **ქალაქის ქუჩების მოკირწყვლა** აქვს დავალებული. კომისიამ უნდა განიხილოს მოხსენება გამგეობის წევრის ენფიანჯიანცისა—რამდენი დასჭირდება პირველ ხანს ზოგიერთ ქუჩების მოკირწვლას. იმავე საღამოს კომისია სთხოვს საბჭოს ნება მისცეს გამოიტანოს ფული ბანკიდან და შეუდგეს ქუჩების მოკირწვლას.

✦ 20 აპრილისათვის დანიშნულია ტფილისის მასწავლებელ ქალთა ურთ-ერთ დამხმარებელ **საზოგადოების წევრთა კრება**. კრებამ უნდა განიხილოს ანგარიში, ხარჯთ-აღრიცხვა, ამოარჩიოს თავმჯდომარე, მდივანი, ხაზინადარი, გამგეობის სამი წევრი და მათი კანდიდატები. კრება მოხდება დედათა პირველ გიმნაზიის სადგომში, **საღამოს 6 საათზე**.

✦ ტფილისის გუბერნატორს, „კავკ.“-ს სიტყვით, შუამდგომლობა აღუძრავს უმაღლესს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ დამტკიცებულ იქმნას წესდება ტფილისში განზრახულ **ახალ საზოგადოებისა**. ამ საზოგადოებამ დახმარება უნდა აღმოუჩინოს პეტერბურგის დედათა სამკურნალო ინსტიტუტისა და უმაღლეს კურსების ღარიბ მოსწავლე ქალებს.

✦ ტფილისის გუბერნიის სამხედრო საქმეთა საკრებულო უკვე შეუდგა იმ ყმაწვილ კაცთა სიების შედგენას, რომელნიც წელს უნდა გაიწვიონ **კენჭის ამოსაღებად**.

✦ 25 აპრილისთვის დანიშნულია ზუგდიდის საურთი-ერთო კრედიტის საზოგადოების წევრთა **საგანგებო კრება**.

✦ თვალის სამკურნალოს გამგე **ექიმი ტარსაიძე** დროებით ყირიმს წავიდა. იმის მაგიერ სამკურნალოს განაგებს ექიმი ნევტონოვი.

✦ როგორც გვატყობინებენ, მანგლისში ამ ჟამად **ყვავილი მძვინვარებს**.

✦ რადგან მოახლოვდა საქონლის მთაში გადარეკის დრო, საზეითალო გამგეობამ სთხოვა ტფილისის მაზრის უფროსს, შეატყობინოს ყარაიაზიდან თრიალეთისკენ **როდის გაატარებენ ცხვარს**, რომ ბეითლები დანიშნოს.

✦ ხვალ, 14 აპრილს, **საქართველოს ეგზარხოსი** გორს მიდის.

✦ ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით შესდგა ტეხნიკოსთა კომისია **ნავთლუღის ხიდის დასათვალიერებლად**. ქალაქის მხრივ კომისიაში არიან ტეხნიკოსი მელიქ-ბეგლიაროვი და ინჟ. კოგნოვიცკი.

✦ ხვალ, 14 აპრილს, ტფილისის სამოსამართლო **პალატის სესია** ბაქოში მიდის საქმეების განსახილველად.

✦ **საქმე გაზ. „ნოვ. ობოზრ.“-ს რედაქტორის** თავ. გ. მ. თუმანოვისა, რომელსაც დიფფამაცია ჰბრალდება, ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია 19 აპრილისათვის.

✦ 24 აპრილისთვის ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე სამსონ დანელიასა და სიმონ აკოფოვისა, რომელთაც ვაჭრის ერვიეს **თავს დასხმა და მოკვლა** ჰბრალდებათ.

✦ 17 აპრილისათვის დანიშნულია **კრება ხელოსანთა** უსტაბაშებისა და რწმუნებულებისა. კრებამ უნდა აარჩიოს 12 კაცი სახელოსნო გამგეობისათვის საკუთარ შენობის ასაგებად.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ მიჰმართა ვიტებსკისას და სთხოვა გამოუგზავნოს ცნობები იმის შესახებ, თუ რა პირობით აძლევს ვიტებსკს უსახელო საზოგადოება ელექტრონის ძალას და აგრეთვე პირი იმ ხელშეკრულობებისა, რომლის თანახმად უსახელო საზოგადოება ჰკისრულობს ელექტრონით ტრამვაის ვაგონების მოძრაობასა და **ქალაქის განათებას**.

✦ 23 აპრილს ტფილისის ოლქის სასამართლოს სესსია სურამში განიხილავს ანდრია **ჟვანიასა და 17 სხვა ბრალდებულის საქმეს**. ამათ ჰბრალდებათ დიდის მთავრის მამულში ბოროტ-მოქმედების ჩადენა.

✦ გუშინ ტფილისის ქალაქის მოურავმა ოდესის ქალაქის გამგეობას სთხოვა შეატყობინოს, რა შედეგი მოჰყვა ოდესის საბჭოს შუამდგომლობას **პოლიციის შესანახ ხარჯებისაგან** ქალაქის განთავისუფლების შესახებ.

✦ ხვალ, 14 აპრილს, გორში ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია შეუდგება საქმეების განხილვას. სესია გორში 25 აპრილამდე დარჩება.

✦ **ხვალ, 14** აპრილს, ხელოსანთა გამგეობის სადგომში, **კრება** ექმნება ტფილისის მჭედლებსა და ნალბანდებს თავიანთ საქმეების გაუმჯობესების შესახებ მოსალაპარაკებლად.

✦ სამოსამართლო პალატის სესია 3 მაისს ქუთაისში განიხილავს საქმეს **„ცნობის ფურცლი“-ს რედაქტორისას**, რომელსაც პოლიციელი ქავთარაძე ბეჭდვითი სიტყვით ცილის წამებას უჩივის.

✦ როგორც შორაპნის მაზრის სოფ. ჭიქაურიდან გვატყობინებენ, იქ ამ თვის პირველ რიცხვებში შემდეგი მკვლელობა მომხდარა: როგორც გამოძიების შემდეგ გამოირკვა, ვაჭარი ივ. ჩახმახოვი დაახლოვებული ყოფილა თურმე ი. გ—შვილის მეუღლესთან. ამის გამო გ—შვილს ჩახმახოვის მოკვლა განუზრახავს. ჩახმახოვთან მოსამსახურედ ყოფილა იმისი ცოლის ძმა ჯ—ძე, რომელსაც აგრეთვე სცოდნია ყველაფერი. აპრილის პირველს რიცხვებში გ—შვილი მისულა ჩახმახოვის დუქანში განზრახვის სისრულეში მოსაყვანად. კარები დაურახუნებია და გაუღია იმის ცოლის ძმას. შეპარულა ჩახმახოვის საწოლ ოთახში და მძინარესათვის ისე მაგრა ჩაუცია გულში იარაღი, რომ ჩახმახოვი იქვე მომკვდარა. მკვლელი დააპატიმრეს.

✦ სამკურნალო დეპარტამენტმა განმარტა, რომ, სამკურნალო საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, ნება დართულია ყველა აფთიაქში ურეცეპტოდ გაიყიდოს ხოლმე „კოფმანის წვეთები“ და „ეფირი“.

ფელეტონი

პატარა ამბავი

იდეალიზმია თუ სიყალბე?—ერთი ქართველების მეგობართაგანი.

„ამოიღე პირველად დვირე თვალისაგან შენისა! ექიმო, განიკურნე ჯერ თავი შენი!“

შეიძლება უთხრათ იმ მამებს, რომელთაც თავი მოაქვთ თავის იდეალიზმით და პესსიმისტობას, სასოწარკვეთილობას, უიმედობას სწამებენ ახალ თაობას. მოხუცებს ყოველთვის იდეალისტებად მიაჩნიათ თავიანთი თავი. შვილები ურწმუნონი ხართო, გაიძახიან. მართალია, ჩვენს მწერლობაში ერთი ახალგაზდაც მწარედ დასტიროდა ახალთაობის უიმედობას. მაგრამ ზოგიერთი ახალგაზდები მალე მოხუცდებიან ხოლმე (თუ თავიდანვე მოხუცებულნი არ იბადებიან) და მათ სუსტს თვალებს ამომავალი მზის სხივები მეორედ მოსვლის ნიშნებად ელანდებათ. მე აქ სახეში მაქვს სულიერი მოხუცებულობა.

დღევანდელს ახალგაზდობაში ეროვნული ალტაცება ჩამქრალაო, ამბობენ. და ეს იმიტომ მხოლოდ, რომ ახალგაზდები გულზე ხელ დაკვრით და მუხლ მოდრეკილნი არ ჰყვირიან: „მამულო, მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ!“ წამ და უწუმ ენაზე არ აკერიათ მათ სახელოვანი საქართველო, დიდებული საქართველო, შეუდარებელი საქართველო! ქართველთა დევ-გმირობა, თავგანწირულობა, ხასიათის სიდიადე, ძლიერი ნიჭი და არაადამიანური ზნეობა! „აქებდეთ საქართველოს, აქებდეთ! და ვინც მას არ აქებს, ქვეყნის მოღალატეა და არა სწამს ჩვენი მომავალიო!“ გვეუბნებიან: ქართველობას უარჰყოფთ, რადგან ეროვნობას გვერდში ამოუყენეთ კაცობრიობაო და ეროვნული პრინციპი ძირს დასცით ეკონომიურის კითხვების წინ წამოყენებითო.

ზოგიერთი ჩვენი მამები მომაგონებენ იბსენის „გარეგანი იხვის“ გიალმარ ეკდალს. სულიერად ბრმას ეკდალს გარშემო ყველაფერი ამწვანებულ-აყვავებულად ეჩვენებოდა და თავისი თავი გენიოსად მიაჩნდა. ნამდვილად კი თავად თითქმის სულელი იყო და მის გარეშემო მარტო სიმშილი და მწუხარება მეფობდა.

ჩვენს მამებს წარსული უდიდეს წარსულად მიაჩნდათ მთელის კაცობრიობის ისტორიაში, უდიდეს მომავალსაც მოელოდნენ წინ, უმაღლეს წოდებას სთვლიდნენ განვითარების იარაღად, მოწყალებაში ხედავდნენ ხსნას. ყვიროდენ სამშობლოსადმი სიყვარულს, მაგრამ იმდენი სიმხნევე არ შესწევდათ, რომ თამამად გამოეთქვათ თავისი გრძნობა. საზოგადო სამსახურს ხედავდნენ იქ, სადაც კერძო გამორჩენა იყო. სადაც თავისუფლება ჰქონდათ, ხმას არ აღებინებდნენ მოწინააღმდეგეებს. დამოუკიდებლობა გვინდაო, და დამოუკიდებელნი რომ იყვნენ, მონებსავით ეფინებოდნენ ფეხ ქვეშ მათ, ვინც მათზე უფრო ძლიერი იყო. თვით-მოქმედებას და თვით-მმართველობას აქებ-ადიდებდნენ სიტყვით, ნამდვილად კი, როდესაც შემთხვევა ეძლეოდათ, აღმოსავლეთის ბრძანებლები ხდებოდნენ. ითხოულობდნენ უფლებას, რომელსაც ართმევდნენ ყველას, თუ კი ეს საჭირო იყო მათთვის. მამულიშვილი იყო, ვინც რამდენიმე მაღალ-მაღალის სიტყვებით მოკაზმულ-მორთულს ლოცვას წარმოსთქვამდა სამშობლოს კერპის წინაშე. საზოგადო მოღვაწის სახელს დაიმსახურებდა, თუ ვინმე (ცოტა შექეიფებული) წარმოთქვამდა სადილზე: მე მიყვარს ჩემი ქვეყანა, გაუმარჯოს საქართველოსო!

ეს მიაჩნიათ დღეს ზოგიერთებს იდეალიზმად. მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ ჩვენი ახალთაობა მოკლებულია ასეთს იდეალიზმს, რადგან ეგ იდეალიზმი კი არ არის, არამედ სიბრმავეა და სიყალბე, თავის მოტყუილება, რომელსაც მხოლოდ გახრწნა შეაქვს საზოგადოებაში, რომელიც კი არ აგვამაღლებს დღეს, არამედ უფრო და უფრო დაგვცემს ძირს და სამარემდისაც კი მიგვიყვანს. ნამდვილი იდეალიზმი სრულებით არ თხოულობს, რომ თვალი დავხუჭოთ და არ დავინახოთ, რაც არსებობს და ხდება ჩვენს გარშემო. ჭეშმარიტი სიყვარული სრულებით არ გვავალებს წარმოვიდგინოთ ჩვენი ქვეყანა იმად, რაც არ ყოფილა და არ არის. სიყვარული ახლოს არის სიძულვილთანაო. ვისაც ჭეშმარიტად უყვარს თავისი მამული, იმას არ შეუძლია არ სძაგდეს დღეს ჩვენი ქვეყანა, მაგრამ ეს სიძულვილი იმდენად ქვეყნისა და ერისადმი სიძულვილი კი არ არის, რამდენად მისი დღევანდელი მდგომარეობისადმი. პოეტმა, რომლის პოეზია მხოლოდ სამშობლოს სიყვარულია, თქვა: ფურთხის ღირსი ხარ, საქართველოო! მაგრამ განა ვინმე დასწამებს მას, რომ ერის უარ-მყოფელიაო?.. დაინახო ცხოვრება ნამდვილის სახით, მისის სისაძაგლით, გარყვნილებით და დაგლახავებით, კანკალი დაგაწყებინოს ასეთმა სურათმა და მხიარულება წაგართვას, ეს განა სასოწარკვეთილებაა? სასოწარკვეთილებაა იქ, სადაც მოსპობილია სურვილი გაჭირვებულის მდგომარეობისაგან თავის დახწევისა, სადაც აპატიით და უძრაობით არის ყველაფერი მოცული. და განა არ მოძრაობს, არ ცოცხლობს ახალთაობა, არ აფრიალა უკეთესობის დროშა, ყველასათვის აშკარა და ნათელი არ არის არა ერთი და ორი მაგალითი მისის სრულის უანგარობისა და ერისათვის თავგანწირულობისა?

რა ვუყოთ, თუ ახალთაობას ეს ერი კერპად არ მიაჩნია, არამედ იარაღად ადამიანურის ცხოვრებისათვის, მთელს კაცობრიობასთან შეკავშირებისათვის და ერის ხსნას ხედავს მშრომელ ხალხში, იმ წრეში, სადაც არ ხედავენ მას წინანდელი მამულიშვილები!...

* *

ჩვენი პატრიოტების „მამულიშვილობის“ სიყალბე ცხადად გამოიხატება, სხვათა შორის, იმით, რომ კარგად გარკვეული არა აქვთ, სად არის ნამდვილი მოყვრობა და სად არის ნამდვილი მტრობა.

ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ მხარეში ამას წინად ცხოვრობდა ერთი მასწავლებელი. ჩამომავლობით არა-ქართველი იყო, მაგრამ ქართველებს ისე უყვარდათ, როგორც ნამდვილი ღვიძლი ძმა. ყოველი ოჯახის საყვარელი სტუმარი იყო, ყოველი ნათლიად და მოყვრად იწვევდა. სადაც ის იყო, იქ სუფრა გამხიარულებული იყო. ფულით, ძღვნით, ისე დახმარებით ყოველთვის მზად იყვნენ მისთვის, ერთი სიტყვით, სული არ შურდათ. საყვარელი პედაგოგიც სამაგიეროს

◆ 6 აპრილს საგარეჯოს მცხოვრები ივანე დალაშვილი ორ მეზობელთან ერთად ტფილისიდან საგარეჯოში მიდიოდა. გზაში მოულოდნელად თავს დაეცა ხუთი ხანჯლებითა და ჯოხებით შეიარაღებული კაცი და მოსთხოვა ფული. ი. დალაშვილს წაართვეს 15 მანეთი, ვერცხლის საათი და ქამარი. ამასთან ყაჩაღებმა სცემეს და ზურგში დასჩრეს, შემდეგ დაიმალნენ.

◆ 5 და 7 აპრილს ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ გაძარცვეს ორი დუქანი ტფილისსა და ტაბახმელას შუა, კოჯორის გზაზე. წაიღეს დუქნებიდან სხვა-და-სხვა ნივთები და 50 მანეთი ფულად. ქურდების კვალს დღემდე ვერ მიაგნეს.

◆ 9 აპრილს სოფლებ ვაკესა და ვაშლოვანს მახლობლად ხუთი შეიარაღებული თათარი თავს დაეცა გზად მიმავალ ბორბალოს მცხოვრებთ, გაძარცვეს, წაართვეს ნივთები, ცხენი და ტყეში დაიმალნენ.

◆ 29 აპრილისათვის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე ქიათურის ბოქაულად ნამყოფის ნესტორ ნ. არდიშვილისა, რომელსაც სამსახურის აღსრულების დროს ბოროტმოქმედების ჩადენა ჰბრალდება.

◆ 11 აპრილს, ღამე, სასულიერო სემინარიასთან ჩხუბი მოუვიდა ორ ჯარის კაცს. ჩხუბის დროს ერთმა დანა ამოიღო და მძიმედ დასჩრა მეორე. დაჩრილი ამ ჟამად სამხედრო საავადმყოფოშია.

◆ ალბულახში ამას წინად ძალიან მძვინვარებდა ყვავილი. როგორც გვატყობინებენ, ეხლა ეს სენი სრულიად მოისპო.

რუსეთის ქრონიკა

ფინლიანდიის საქმეები

◆ „პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია შემდეგი უმაღლესი რესკრიპტი ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორის სახელზე: „განვიზრახეთ-რა მჭიდრო შეკავშირება ჩვენის სახელმწიფოს ნაწილებისა, ჩვენ აღვნიშნეთ საშუალებანი, რომელთა შემწეობით ფინლანდია უნდა გაუერთიანდეს იმპერიის შიდა ნაწილს; მაგრამ საშუალებათა განხორციელებას თავხედათ წინააღუდგა ფინლანდიის მცხოვრებთა ერთი ნაწილი. ბოროტ-განმზრახველებმა მშვიდობიან ხალხის შესაცდენად დაარღვიეს ცხოვრების წესიერი მსვლელობა; ისინი ძალ მომრეობასაც-კი არ მოერიდნენ იმათ წინააღმდეგ, ვინც თავის მოვალეობას არ უღალატა. სხვა დროს, ჩვეულებრივ პირობებში, დარღვეულ წესიერების აღდგენა შეიძლებოდა დამნაშავეთ სამართალში მიცემით და სხვა კანონიერის წესით. მაგრამ ახლა ეს ღონისძიებანი გამოუსადეგარია, რადგან ზოგიერთი მოხელე და უმთავრესად სასამართლო დაწესებულებანი არა თუ არ იცავენ წეს-რიგს, არამედ ხშირად თითონვე აძლევენ მავნე მაგალითს კანონის დარღვევისას. მოვისურვეთ-რა ფინლანდიაში წესიერების აღდგენა და ხალხისათვის ბოროტ-განმზრახველთა გავლენის აცდენა, ჩვენ კეთილად ვსცანით დროებით, სამის წლით, მივანიჭოთ ფინლანდიის დიდ სამთავროს უმაღლეს მმართველობას განსაკუთრებული უფლებანი სახელმწიფო წესიერებისა და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დასაცავად. ეს უფლებანი აღნიშნულია ჩვენ მიერ 20 მარტს (2 აპრილს) დამტკიცებულ დადგენილებაში.

გიგზავნით-რა თქვენ ამ დადგენილებას აღსასრულებლად, ვავალებთ ამასთანავე ფინლანდიის სენატს რაც შეიძლება ჩქარა დაასრულოს ფინლადიის სასამართლო წეს-წყობილებისა და დებულებას გადასინჯვა.

ნამდვილზე მისი უდიდებულესობის საკუთარის ხელით მოწერილია **ნიკოლოზ**

ამასთან ერთად გამოქვეყნებულია უმაღლესად დამტკიცებული ახალი დადგენილება და ინსტრუქცია გენერალ გუბერნატორისათვის: „გენერალ-გუბერნატორი არის უმაღლესი წარმომადგენელი სახელმწიფოსი ფინლანდიაში და მთავარმართებელი ფინლანდიის სამოქალაქო მმართველობისა. გენერალ-გუბერნატორის მოვალეობაა ხელმძღვანელად იყოს ყველა დაწესებულებათა და მოხელეთა; თავისი აზრი გამოსთქვას ყველა იმ თხოვნისა და საქმის შესახებ, რომელნიც ხელმწიფე იმპერატორის სახელზე იგზავნება; პირადათ ან დავალებულ პირთა შემწეობით რევიზია მოახდინოს ხოლმე ყველა დაწესებულებაში; მიიწვიოს ჩვენების ჩამოსართმევად ყველა პირნი და მოხელენი, ისინიც-კი, ვინც არჩეულია საზოგადოებისაგან, თუ ამას საჭიროება მოითხოვს; მას ექვემდებარება ფინლანდიის ყველა სამოქალაქო დაწესებულება და თვითმართველობის ორგანოები ქალაქად თუ სოფლად; როგორც პოლიციის უმთავრეს ხელმძღვანელს, მას ევალება ყოველგვარი ღონე იღონოს უწესოებათა ასაცდენად ან მოსასპობლად; თვალ-ყური ადევნოს საქველმოქმედო წარმოდგენების, ლატარია ალეგრების და სხვა გასართობების გამართვას, რათა შეგროვილი ფული გამოცხადებულ საგანს მოხმარდეს ხოლმე; გენერალ გუბერნატორის მთავარ მოვალეობას შეადგენს თვალყური ადევნოს პრესსას; ამისათვის მას უფლება ენიჭება თავის შეხედულებით ნება დართოს ახალის გაზეთის გამოცემა, დროებით შეაჩეროს ან სულ მოსპოს გაზეთის გამოცემა; ნება ეძლევა დახუროს ყოველგვარი საჯარო ბიბლიოთეკა ან საზოგადო სამკითხველო და აგრეთვე სტამბები; განსაკუთრებული თვალ-ყური ადევნოს ფინლანდიის სასწავლებელთა და მათ შორის ფინლანდიის საიმპერატორო უნივერსიტეტს. გარდა ამისა, გენერალ-გუბერნატორს, თუ საგანგებო საჭიროებამ მოითხოვა, ნება აქვს, თავისი პასუხისმგებლობით, მიიღოს სხვა განსაკუთრებული ღონისძიებანიც, რომელნიც აღემატებიან მისთვის მინიჭებულ უფლებათ, მაგრამ იმ პირობით, რომ ყოველი ამგვარი შემთხვევა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მის იმპერატორებით უდიდებულესობას“.

ინსტრუქციასთან ერთად გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება, რომლით ამიერიდან აკრძალულია ფინლანდიაში, პოლიციის ნებადაურთველად სათეატრო წარმოდგენების, კონცერტების და სხვა გასართობის მოწყობა, აგრეთვე სახლების დროშებით მორთვა და ილლიუმინაციის გამართვა. ოფიციალურ „ფინლანდიის გაზ.“-ის სიტყვით, ეს განკარგულება გამოწვეულია იმით, რომ აგიტატორები სცდილობენ ხალხზე გავლენა იქონიონ სხვა-და-სხვა გვარ დემონსტრაციების გამართვით, მაგალითად „სინათლის დღეები“ პოეტის რუნებერგის დაბადების დღეს და „სიბნელის“ დემონსტრაციები უმაღლეს მანიფესტის (1899 წ. 3 თებერვალს) გამოცხადების დღეს.

◆ ფინლანდიის სენატმა განკარგულება მოახდინა, ფინლანდიაში ყველა ადგილობრივმა დაწესებულებამ უსათუოდ იუქმოს ხოლმე საუფლო დღესასწაულები: ხელმწიფე იმპერატორის დაბადებისა, სახელწოდებისა, ტახტზე ასვლისა და გვირგვინის კურთხევის დღეები, აგრეთვე დაბადებისა და სახელწოდების დღეები მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ დედოფლებისა და ხელმწიფე მემკვიდრისა.

მასწავლებელთა კრება

ეს კრება მოხდება ტფილისის სასტატო ინსტიტუტთან 2-დან 12 ივლისამდე. მონაწილეობის მიღება შეუძლიანთ კავკასიის სამოსწავლო ოლქის სახალხო სკოლების დირექტორებსა და ინსპექტორებს, სასტატო ინსტიტუტებისა და სემინარიების დირექტორებსა და საპედაგოგიო საბჭოს წევრებს და იმ საქალაქო სასწავლებლების თავმჯდომარეებსა და საპედაგოგიო საბჭოს წევრებს, რომელიც 1872 წლის დებულებით არის დაარსებული. კრების თავმჯდომარედ ტფილისის სასტატო ინსტიტუტის დირექტორი იქმნება. კრებასთან შეიძლება გაიმართოს სამოსწავლო, წიგნებისა და ნივთების გამოფენაც. გარეშეთ არ შეუძლიანთ კრებაზე დასწრება. საერო განათლების სამინისტროს სხვა სკოლის მასწავლებლებს მხოლოდ კრების თავმჯდომარის ნება რთვით შეუძლიანთ დასწრება. კრების იმ წევრთ, რომელნიც ქალაქს გარედ სცხოვრობენ, შემწეობა აღმოეჩინებათ ტფილისში ჩამოსასვლელად და საცხოვრებლად. კრების საქმეების მოსაწყობად უნდა შესდგეს დირექტორის თავმჯდომარეობით განსაკუთრებული კომისია. ამავე კომისიამ უნდა გამოსძებნოს სადგომები წევრთათვის, მოაწყოს სამეცნიერო დემონსტრაციები, კითხვები, გამოფენები და სხვა. მოხსენების ავტორებმა ადრევე უნდა აცნობონ კომისიას თავიანთ მოხსენებათა შინაარსი. კრების დასრულების შემდეგ კომისიამ უნდა შეადგინოს დაწვრილებით ანგარიში და წარუდგინოს პირველ ნოემბრამდე სამოსწავლო ოლქის მზრუნველს. კრებას შეუძლიან განსაკუთრებულ საკითხების განსახილველად აარჩიოს მოსამზადებელი კომისიები.

აქვე ვბეჭდავთ კრების პროგრამას:

1. როგორ უნდა მოეწყოს შემდეგ საგნების სწავლება: ა) ხაზვა-ხატვისა, ბ) გალობისა და გ) დამატებით საგნებისა: საკომერციო ცოდნისა, ხელ-საქმისა, სატეხნიკო ხატვისა, მებაღეობისა, მებრეშუმეობისა, ახალ ენებისა და სხვათა; 2. ურთ-ერთ დამოკიდებულება საქალაქო და შორეულ დაწყებით სასწავლებლებს შორის; 3. ტიპი ისეთ საქალაქო სასწავლებლებისა, რომელთაც უმეტესი განყოფილებანი არ ექმნებათ; 4. რეპეტიციები და გამოცდები; 5. ჯილდო და სასჯელი; 6. გიმნასტიკა და თამაშობა; 7. ექსკურსიები, სასკოლო დღესასწაულები, კითხვები ილიუსტრაციებით და სხვ.; 8. სასკოლო ბაღი და ბოსტანი; 9. წიგნთსაცავების გამართვა და სახელმძღვანელოების შეგროვება; 10. ჰიგიენა საქალაქო სკოლებში, სასკოლო ექიმი, იმისი მოვალეობანი და დამოკიდებულება საპედაგოგიო საბჭოსთან; 11. საზოგადო საცხოვრებლის მოწყობა მოსწავლეთათვის; 12. სწავლა-განათლება საქალაქო სასწავლებლის გარედ; 13. მატერიალური მდგომარეობა საქალაქო სკოლების მასწავლებლებისა; 14. საშუალებანი მასწავლებელთა ცოდნის შესავსებად და 15. კითხვების მოწყობა მოსწავლეთათვის.

დოქტორ ლაბორდის გარდაცვალება

(წერილი პარიზიდან)

ფრანგულ მეცნიერებას კიდევ მოაკლდა ერთი თვისი საუკეთესო წევრი და მესვეური. 6 აპრილს გარდაიცვალა ცნობილი ფიზიოლოგოსი დოქტორი ლაბორდი, წევრი საექიმო აკადემიისა და პროფესორი პარიზის საანტროპოლოგიო სკოლისა. საექიმო მეცნიერებაში განსვენებული ლაბორდი ცნობილი იყო როგორც გამომგონი წყალში დამხრჩვალთა და ნახშირის სუნით მოწამლულთა მოსაბრუნებელი საშუალებისა: რითმიულად ენის გამოწევისა სულთქმის დასაბრუნებლად და შეჩერებულ სისხლის ასამოძრავებლად.

განსაკუთრებით ცნობილი იყო განსვენებული როგორც დაუცხრომელი მტერი და

უხდიდა ქართველებს და სადილებზე და ნადიმებზე ბევრს ღვინოს მიირთმევდა საქართველოს აყვავებისათვის და გრძელ-გრძელ ტოსტებს ამბობდა ქართველების სადიდებლად: ყოჩაღნი ხართ, მომწონხართო. ქართველებსაც, რასაკვირველია, ძლიერ მოსწონდათ ასეთი სიტყვები და კიდევ მეტის პატივისცემით და მადლობით ეპყრობოდნენ პედაგოგს.

ასე იყო რამდენიმე წლის განმავლობაში. შარშან ეს მასწავლებელი მთლად დაითხოვეს სამსახურიდან პენსიის დამსახურებისა გამო. მე შემთხვევით ჩამივარდა ხელში ორი მისი წერილი, რომელიც ცხადჰყოფენ, თუ რა კაცი ყოფილა ნამდვილად ჩვენთვის „კეთილის მოსურნე“ პედაგოგი. მომყავს აქ ეს წერილები უშენიშვნოთ, სულ მეტია რაიმე განმარტება. მკითხველი ადვილად მიხვდება და ღირსეულადაც დააფასებს მის შინაარსს.

პირველი წერილი მიწერილია „მოსკ. ვედ.“ ის რედაქტორის, გრინგმუტისადმი.

„მე თანამშრომლობდი ადგილობრივ გაზეთებში (?), მაგრამ სხვა-და სხვა დაბრკოლება გადამეღობა წინ: ვერ ვახერხებ დავბეჭდო წერილები, თუმცა ყველაფერს ოფიციალურს ფაქტებზე ვამყარებ. მაგალითად, როდესაც ადგილობრივმა, ქართულმა *) და რუსულმა გაზეთებმა ერთი აურ-ზაური ასტეხეს კონის რეფერატის გამო შესახებ კავკასიის ყაჩაღობისა, მე ძლივს ძლივობით მოვასწარი ნახევარი წერილის დასტამბვა ამ საგნის გამო „ჩერნომორსკი ვესტნიკ“-ში. მეორე ნახევარის დაბეჭდვა ამიკრძალეს ადგილობრივი თავად-აზნაურობის ზედ-გავლენით.

„შემდეგ, როდესაც „პეტერბ. ვედ.“-ში გამოქვეყნდა „ცნობილი“ წერილი ბ. დურნოვოსი ქართველ სამღვდელოების საჭიროებათა შესახებ, მე პასუხი გავეცი ავტორს პალმის გაზეთში და აღვნიშნე, რომ ავტორი სიცრუეს და სისულელეს სწერდა. ეგსარხოსის გავლენის გამო ნება არ მომცეს, გამეგრძელებინა ჩემი პოლემიკა ან ცალკე წიგნად გამომეცა ჩემი წერილები. რასაკვირველია, რუსთა შორის არიან ისეთები, რომელთაც ფეხებზე ჰკიდიათ რუსთა საქმე კავკასიაში და ბედნიერებად მიაჩნიათ ადგილობრივ მკვიდრებთან დაახლოვება და დამეგობრება, მაგრამ არიან ისეთი რუსებიც, რომელნიც, ვერ შეურიგდებიან იმ გარემოებას, რომ სამრევლო სკოლები გაუნათლებელ ქართველ სამღვდელოების ხელში იყოს, ვერ შეურიგდებიან ადგილობრივ ქართულ-რუსული პრესის ყვირილს და მოთქმას, რომელიც რუსული ენის ბუნებრივის (მუნჯურის) მეთოდით შესწავლასაც ქართველების წინააღმდეგ გალაშქრებას უწოდებს, იმ ქართველების, რომლების რიცხვში სთვლის მეგრელებს, სვანებს, სულ სხვა ტომის ადამიანებს, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ ქართველ ერთან. ამ პირობებში ყოვლად შეუძლებელია ნამდვილი (?) რუსისათვის ადგილობრივ გაზეთებში თანამშრომლობა. ამიტომ მოგმართავთ, მოწყალეო ხელმწიფეო, უმორჩილესის თხოვნით, მიმიღოთ თქვენის გაზეთის თანამშრომლად, და ამით შეძლება მომცეთ ვემსახურო რუსთა საქმეს.

„თუ თანახმა იქმნებით, გთხოვთ მიგზავნოთ თქვენი გაზეთი, განსაკუთრებით გამომიგზავნეთ 281 №, სადაც მოთავსებული იყო თქვენი წერილი დურნოვოს წინააღმდეგ აფხაზეთის და სამურზაყანოს ეკკლესიების შესახებ.

„გონორარი რამდენი იქმნება?..“

მეორე წერილს ჩვენი „მეგობარი“ პედაგოგი სწერს სამეგრელოში კარგად ცნობილს პედაგოგს ბ. ხ—ავას, რომელმაც თავი ისახელა ქართულის ენის დევნით.

„საყვარელო ბორის, ვკითხულობთ წერილში: შენი წერილი მივიღე და ის აზრი გამოვიყვანე იქიდან, რომ შენ ღრმად დარწმუნებული ხარ, რომ ბ-ნნი ნ., დ. და ამხ. ბოლოს და ბოლოს დამარცხებულნი იქმნებიან და საბრალო სამურზაყანოელები და აფხაზები განთავისუფლდებიან მათის ბორკილისაგან. ძლიერ ვწუხვარ, რომ უნდა შევარყიო შენი რწმენა, მაგრამ მე საკუთარის გამოცდილებით ვიცი, რომ მეტად მცირეა მათი რიცხვი, რომელთაც შეგნებული აქვთ, თუ რა დიდი ვნება მოიტანეს და მოაქვთ დღესაც ქართველებს სამურზაყანოსა და აფხაზეთში. თანაც ეს მცირე ჯგუფი ჩავარდნილია ყოველგვარ ცუდს პირობებში: ქართველები მჭიდროდ შეკავშირებულნი არიან (?), ქართველებს ყველანი ემარჯვებიან (?), ქართველებს ყველგან ჯაშუშები ჰყავთ (?). ასეთ გარემოებაში ძნელია ბრძოლა...

„...მესმის, რომ არ გეამება ჩემი სიტყვები. ჩემთვის, შენის მასწავლებლისათვის ძლიერ სამწუხაროა ეს, სამწუხაროა მით უმეტეს, რომ სასწავლებელში მუდამ ჩაგაგონებდი თქვენ აფხაზებს, მეგრელებს და სამურზაყანოელებს, რომ უნდა განშორდეთ ქართველებს, ომი გამოუცხადოთ მათ და რაც შეიძლება მალე შეუსისხლხორცდეთ რუსებს. ეს კანონია, რომელსაც უნდა დაემორჩილონ ბ-ნნი ნ., დ., ს. და მათი წინამძღოლნი ქართული გაზეთები... აქაა თქვენი ხსნა, ამას უნდა ესწრაფოდეთ სულითა და გულით. ყველაფერი ეს შენ შეიგნე კარგად, მაგრამ...

„უნდა გითხრა, რომ კავკასიაში რუსებიც სხვა-და-სხვა ნაირნი არიან. არის ერთი ჯგუფი, რომელსაც ვეკუთვნი მეც, ცოდვილი და რომელიც ადგია ჭეშმარიტ გზას. არის მეორე ჯგუფი, ეგრე წოდებულნი ლიბერალები, თავისუფალი მეაზრენი, რომელნიც ძმობას და თანასწორობას ქადაგებენ, ავრცელებენ ათას-გვარ ცრუ აზრებს პირველი ჯგუფის შესახებ, როგორც ადგილობრივ, ისე სატახტო ქალაქის გაზეთებში და დიდი ვნება მოაქვთ რუსულ საქმისათვის. არიან ისეთებიც, რომლებისათვის ყველა ერთია, ვინც ღვინოს დაალევინებს და აქეიფებს...

„ასეა, ჩემო ბორის. მაინც სასოებას ნუ წარიკვეთავ. განაგრძე შრომა და ადრე თუ გვიან, დავამარცხებთ მტრებს...

„მალე სასწავლებლიდან დამითხოვენ. მინდა საგუბერნიო სამმართველოში ადგილი ვითხოვო, მაგრამ, ვიცი, არ მომცემენ, ეს სულ ქართველების ხრიკების გამო. ჯამაგირი კარგი კი მექნებოდა იქ.“

ასე ათავებს თავის წერილს პედაგოგი. ნეტავ რას იტყვიან ბ. ველიჩკოს და მის მსგავსთა პატივისმცემელნი ქართველები?..

სატუგა.

---

*) პედაგოგმა ქართული ისწავლა ქართულ სადილებზე. ს.

მოწინააღმდეგე ალკოჰოლიზმისა და ყოველგვარ მაწყენარ მაგარ სასმელებისა. თავის სიცოცხლის უმეტესი ნაწილი იმას მოანდომა, რომ გამოეკვლია და ყველასათვის თვალსაჩინო გაეხადა ამა თუ იმ მაგარ სასმელის შემადგენელ ნაწილის თვისება და მისი მაწყენარი მოქმედება ადამიანის აგებულებაზე. ლაბორდის კვლევა-ძიების წყალობით ჩვენი დრო სიყალბისა და კაცობრიობის მოწამვლის ხანად უნდა ჩაითვალოს ამ მხრივ. პარიზში რაც სასმელები იყიდება, იშვიათად გამოერევა ისეთი, რომ ცოტა თუ ბევრი საწამლავი არ ერიოს შიგა, რომელიც მისს მსმარებელს ადრე თუ გვიან გონებას უხშობს და სიცოცხლეს უსწრაფებს. იმედი გვაქვს მკვითხველს ცოტა დაწვრილებით მოველაპარაკოთ შემდეგში იმის შესახებ, თუ რა ღვაწლი დასდო საზოგადოებას განსვენებულმა ლაბორდმა. ჯერ კი ვიტყვით, რომ მთელი თვისი სიცოცხლე სკოლის კათედრიდან თუ საჯარო კრებებზე მსმენელთ განუწყვეტლივ აფრთხილებდა განსაცდელისაგან. ბევრი გადიკიდა მტრად განსაკუთრებით მაგარ სასმელების მწარმოებელთა შორის, მაგრამ ეს უფრო უცხოველებდა კაცობრიობის სადღეგრძელოდ დაწყებულის ბრძოლის განგრძობის სურვილს და ეს ბრძოლა მხოლოდ სიკვდილმა შეაწყვეტინა. ყველასათვის სამახსოვრო შარშანდელი წელიწადი, როცა ლაბორდმა, მეცნიერულ უტყუარ გამოკვლევებზე დამყარებულმა, რა დაუზოგველად გაილაშქრა საექიმო აკადემიაში ყალბ მაგარ სასმელების მწარმოებელთა წინააღმდეგ. ხალხის ნდობით სარგებლობენ, თავიანთ საქონელში ფულს ახდევინებენ და რიგიან რისამე მიწოდების მაგიერ საწამლავს ასმევენო. მისმა სიტყვამ, საჯაროდ გამოთქმულმა და მერე ჟურნალ-გაზეთობაში განმეორებულმა, ძალიან გააწიწმატა სასმელების მწარმოებელნი და საქმე იქამდე მავიდა, რომ ერთმა მდიდარმა მწარმოებელმა მაგარ სასმელებისამ სასამართლოში უჩივლა ლაბორდს, მისის წყალობით 200,000 ფრანკის ზარალი მომივიდა და აზღვევინეთო. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ეს საქმე ლაბორდის გამართლებით გათავდებოდა, მაგრამ სწორედ გუშინ, რა დღესაც საქმე უნდა გაერჩია მოსამართლეს, მეცნიერი ცივ სამარისაკენ წაასვენეს. ასე რომ საჩივარი მისს სიკვდილთან ერთად მოისპო.

განსვენებული 73 წლისა იყო, მაგრამ ლაპარაკსა და ქცევაში 30 წლის კაცი გეგონებოდათ. მისს სიცოცხლეს ბოლო მოუღო სხვა-და-სხვა სასმელებში გარეულ საწამლავების კვლევა-ძიებამ. შარშან-წინ ასეთ კვლევა-ძიების დროს მოიწამლა და რვა თვის განმავლობაში ლოგინად იყო ჩავარდნილი. უკანასკნელად გაციება, ფილტვების ანთებას მისმა დასუსტებულმა სხეულმა ვერ გაუძლო და თან გადაიტანა.

განსვენებულის დასაფლავებას დაესწრნენ საერო განათლების მინისტრი და მეცნიერების წარმომადგენელნი. თანახმად მისის უკანასკნელ სურვილისა, დასაფლავების დროს სიტყვა არავის წარმოუთქვამს. მისსავე სურვილის თანახმად, მისი ცხედარი პერლაშეზის სასაფლაოზე გამართულ ცხედართასაწვავში იქმნა დამწვარი.

საუკუნოდ იყავ ხსენება შენი, კაცობრიობის დღეგრძელობისათვის უანგარო და თავგამოდებულო მებრძოლო!

თ. ს.

წერილი საჩხერიდან

ნათესობა.—ვენახები.—შავის ქვის საქმე.—უექიმობა.—უგზოობა.—ქურდობა.

ჯერ გადაწყვეტით არაფერი შეიძლება ითქვას, მაგრამ წელს მოსავლის ბევრი შემაფერხებელი მიზეზი ელობება გაზაფხულის პირველი დღეებიდანვე. ბევრგან პური სრულებით არ ამოვიდა, ასე, რომ ალაგ-ალაგ ხელმეორედ აპარებენ ხვნას და ზედ სიმინდის დათესვას. ხეხილეულობა თუმცა კარგად გამოვიდა, მაგრამ 8 აპრილიდან წვიმა მოვიდა, ზედ სიცივეები მოჰყვა და ამან დაზიანა. ასეთსავე მდგომარეობაშია ის ვენახები, რომელიც ადრე გამოიფოთლა. ჩვენსკენ სხვა-და-სხვა სენმა ვენახი თითქმის სულ გააქრო; ეს მეათე წელიწადია უმრავლესობას ღვინო აღარ მოუპოვება. ამ ბოლოს დროს ხალხმა შეიგნო ამერიკულ ვაზის სიკეთე და ბევრმა მოინდომა ამ ვაზით ვენახების გამობრუნება, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ბევრს ჯერ სიღარიბე უშლის ხელს ვაზის შეძენაში და მერე, ფულიც რომ ჰქონდეს, ვაზს ძნელად შოულობს, რადგან ამ ბოლოს დროს საქარის სანერგე ვერ ასდის მსურველს და მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. კარგი იქნება, ვინმე ფულიანმა კაცმა გამოიწეროს ამერიკული ვაზი და ხალხში გაავრცელოს. ვინც უნდა იკისროს ეს საქმე, სარგებლობა დიდი ექნება, რადგან ხალხი მეტად მოუთმენლად ეტანება ამ ვაზს.

ეს მესამე წელიწადია, საჩხერის კუთხის მცხოვრებნი ქონებრივად მეტად დაქვეითდნენ. ამისი მიზეზი ის არის, რომ ჭიათურის შავი ქვა ისე ვეღარ გადის საზღვარ-გარეთ, როგორც წინად. მუშაობის დაცემასა გამო ხალხი საქმეს ვეღარ შოულობს, ამის გამო მეტად უჭირს გადასახადების გადახდა. როგორც ეტყობა, წელს შავის ქვის საქმე გამობრუნებას აპირებს. საზღვარ გარეთელ მექარხნეთაგან ეხლა კარგა ძალ ქვის მოთხოვნილებაა და შესაძლებელია ამ ერთის თვის შემდეგ ისევ წინანდებურად გაცხოველდეს მუშაობა. როგორც გადმოგვცეს, საზღვარ-გარეთიდან 10 მილიონი ფუთი ქვა შეუკვეთეს მარტო კავკასიის მანგან-სინდიკატს.

წელს ჩვენსკენ დიდმა ზამთარმა ხალხს ბევრნაირი ზარალი მიაყენა. განსაკუთრებით უშეშობამ შეაწუხა ხალხი. ბევრმა ეზოებში ხეხილების ხეები მოჩეხა და შეშის მაგივრად იხმარა. დიდის ზამთრისავე მიზეზით ხალხმა ძალიან დააგვიანა ხვნა-თესვა. საჩხერის საბოქაულოსა და ჭიათურის საბოქაულოს ერთ ნაწილის მცხოვრებნი მეტად გაჭირვებულნი არიან ექიმობისა გამო. ეს მესამე წელიწადია საჩხერიდან საავადმყოფო ხარაგაულში გადაიტანეს. 20,000 სულზე მეტი ექიმობისა გამო ალაგ-ბედზე მიგდებული. აქაურ მცხოვრებს უბრალო ავადმყოფობისაგან მოსარჩენად სჭირდება 100 ვერსი გაიაროს და ქუთაისში წავიდეს. ხალხი მზადაა გაიღოს ხარჯი საკუთარის ექიმის მოსაწვევად და სამკურნალოს დასაარსებლად, მაგრამ ინიციატორი არა ჰყავს. ეხლა სხვაგან აარსებენ სამკურნალოებს და სკოლებს, ჩვენში კი ამაზე არავინა ჰფიქრობს. არა ჰფიქრობენ აგრეთვე გზებზედაც. საკმაოა ნახევარის საათის ავდარი, რომ დიდის ლაფებისაგან სოფლებში მიმოსვლა შესწყდეს. საჩხერის ხიდი მეტად გაფუჭებულია და თუმცა იმის შეკეთებას უფრო ცოტა ფული მოუნდება, ვიდრე ახალის გაკეთებას, არავინ ყურადღებას არ აქცევს. ასეთსავე მდგომარეობაშია ჯრუჭულის ხიდიც.

ამ ბოლოს დროს აქეთ ქურდობა-ავაზაკობამაც იჩინა თავი. ეს ვაჟბატონები სრულიად მოურიდებლად თარეშობენ. უქმე დღეებით ხშირად სარგებლობენ და ვითომ-და სტუმრად ერთის სოფლიდან მეორეში ნათესავებთან დაბრძანდებიან, ნამდვილად-კი დასაზვერად დადიან. ამ ორის კვირის წინად ჭიათურაში ერთს ინჟინერს მოჰპარეს ცხენი. ამ რამდენისამე დღის წინად საჩხერეში ებრაელს მარდოხა ცოციაშვილს გაუტეხეს ფართლის მაღაზია და გაიტანეს ფართლეულობა და სხვა ნივთები. კარგია, რომ ქურდები აღმოაჩინეს. ესენი არიან სოფ. ჩიხის მცხოვრებნი სანდრო და ოქრუა ზაბახიძეები და ლევანა კაპანაძე. როგორც პოლიციის გამოძიებით გამოირკვა, წინა დღეს ცოციაშვილის მაღაზიის პირდაპირ, სამიკიტნოში შესულან ეს ემაწვილები, აქედან დაუთვალიერებიათ ყველაფერი და ღამე შესდგომიან საქმეს: რადგან კარების გატეხა ვერ მოუხერხებიათ, ქვის კედელი გამოუნგრევიათ და გამოუტანიათ 1500 მანეთის ფართალი. დამნაშავენი დააპატიმრეს და გაგზავნეს ქუთაისის საგუბერნიო საპყრობილეში. წვრილმან ქურდობას ხომ ანგარიში არ აქვს.

ქ—მე.

დაბა-სოფლები

სამტრედია (იმერეთი). „სჯობს უყოლობა კაცისა მომღურავისა ყოლასა"-ო, ამბობს უკვდავი შოთა; სწორედ ზედ გამოჭრილია ეს სიტყვები ჩვენის დაბის „მამებზე". ეს ერთი ხანია რაც ძლიერ გულ-გრილად ეპყრობიან ყველაფერს ეს ბატონები; რაც კი რამ ითქვა დაბის წინმსვლელობის შესახებ, ყველაფერი აითვალწუნეს, არც ერთს არ მიაქციეს ჯეროვანი ყურადღება. ამას წინად აქაურმა ორიოდე ვაჟკაცმა აღძრა ლაპარაკი საზოგადო ადგილის ყიდვის შესახებ, მაგრამ არაფერი გამოვიდა. შემდეგ, დაბის ბოქაულმა და რამდენმამე შეგნებულმა პირმა განიზრახეს თეატრისთვის სახლის დაქირავება, რათა შემდგარიყო სცენის-მოყვარეთა წრე, რომელიც გამოაფხიზლებდა აქაურ საზოგადოებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც ეს განახორციელეს ჩვენის „მამების" წყალობით. რატომ არის ასე, იკითხავს მკითხველი. აგერ 10 წელიწადია, რაც დაბის შემოსავალი და ხარჯი იმათ ხელში იყო და როგორც სურდათ, ისე განაგებდნენ დაბის ბედ-იღბალს. მხოლოდ წელს მოსთხოვა საზოგადოებამ ანგარიში; პირველად ჩვეულებისამებრ ბანზე შეაგდეს სიტყვა, მაგრამ საზოგადოებამ მაინც მოისურვა, შეეტყო იმათი ნამოქმედარი, რისთვისაც დანიშნეს სარევიზიო კომისია. მართალია, ჯერ-ჯერობით კომისიას არაფერი გამოუქვეყნებია, რადგან ანგარიში არეულ-დარეულია, მაგრამ, ეჭვი არ არის, მალე გამოაქვეყნებს. აი ესაა მიზეზი, რომ აქაური „მამები" ყველაფერზე უთანხმოებას აცხადებენ და გულით და სულით მონდომებულნი არიან, რომ როგორმე უკან-და-უკან წაიყვანონ ჩვენი უბედური დაბა. არა მგონია კი, 10-12-მა კაცმა დასძლიოს მთელი საზოგადოება...

არ შეგვიძლიან არ ვუსაყვედუროთ ჩვენს სამკითხველოს მზრუნველს. წიგნები და ჟურნალ-გაზეთები საკმაოა, მაგრამ სამკითხველოში არც მაგიდაა ხეირიანი და არც სკამები; შემომსვლელი ჯერ ვერ იშოვნის სკამს და თუ იშოვნის, ზედ დაჯდომა სწორედ სათვათურაკოა: რა დროს მოადენთ იატაკზე ბრახუნს არ იცით, ისე გაფუჭებულია სკამი. მკითხველი ფეხზე დგომის შემდეგ გულ-მოსული, ხელის ქნევით, შორდება სამკითხველოს. საწყალი კაცი ხომ მთელ დღეს ფეხზე სდგას გაშეშებულსავით, იმისთვის არც სკამია და არც ჯორკი.

სამტრედიელი

სტეფანწმიდა (დუშეთის მაზრა). „ცნობის ფურცლის" მე-2103 ნომერში ბ-ნი „ქართველი ოსებში" სწერს ხევში სკოლების გამრავლების შესახებ. სხვათა შორის, მოთავსებულია შემდეგი: „წარსულ წლის შემოდგომიდან სოფელ სტეფანწმინდაში დანიშნეს მეორე მასწავლებელი და რადგან სოფელს მეორე მასწავლებლისთვის საკუთარი შენობა არა აქვს, ბ-ნ ყაზბეგმა სოფელს ნება მისცა ამ ზამთრობით იმის შენობაში მოეთავსებინათ სკოლა. ასეც მოიქცა სოფელი, მაგრამ, სამწუხაროდ, ბ-მა ყაზბეგმა მოსწავლე-მასწავლებელი ისევ დაითხოვა თავის შენობიდან"-ო. შესაძლებელია, მკითხველებმა არ იცოდნენ რისთვის და ან როდის დაითხოვა ბ-მა ყაზბეგმა მოსწავლე-მასწავლებელი. ბ-ნმა ყაზბეგმა შემოდგომიდანვე გადასცა ინჟინერს თავისი შენობა შესაკეთებლად. 4 მარტს ინჟინრის მიერ გამოგზავნილმა მუშებმა დაიწყეს ზემო სართულის დანგრევა. რადგან ქვემო სართულში, სადაც მეცადინეობდნენ მოსწავლე მასწავლებელი, შეუძლებელი იყო ხალხის ყოფნა (მით უმეტესად მოსწავლეებისა, რომელნიც თამაშობაში ადვილად მოჰყვებოდნენ ზემო სართულიდან გადმონაგდებ ქვის ქვეშ), ამიტომ მეცადინეობის გაგრძელება ბ-ნ ყაზბეგის შენობაში შეწყდა. ბ-ნ ყაზბეგის მოურავმა გამოუცხადა შენობა დაეცალათ. სკოლისათვის სოფლელებმა დაიქირავეს მოსე ადიბეგოვის შენობა, მაგრამ სითბოს და სინათლეს მოკლებულ სახლში მეცადინეობას დროებით თავი მიანებეს, რადგან ძალიან ციოდა, თუმცა მერე ისევ შეუდგნენ. ბ-ნ ყაზბეგს არა ერთხელ და ორჯელ დაუთმია თავისი შენობა საზოგადო საქმეებისა და სალიტერატურო სადამოებისთვის, რომელიც, გარდა ამ წლისა, სკოლის დაარსებიდან ხშირად იმართებოდა, ასე რომ ყაზბეგს მადლობის მეტი არა ეთქმის-რა.

გ. თ—ძე.

მაკვანეთი (გურია). აღდგომის მეორე დღეს სათამაშოზე მოჰკლეს ხნების დროს 20 წ. ყმაწვილი კაცი კოწია ღლონტი. აი, საქმე როგორ მოხდა: ნაშუადღევს აურებელმა ხალხმა მოიყარა თავი სათამაშოზე და ერთობოდნენ ჩვეულებისამებრ. სწორედ ის დრო იყო, რომ უშველებელი ბურთი უნდა გაეგდოთ, როდესაც მესიკაზე მაცეკვართა და მაყურებელ გუნდში შეიქმნა უცნაური ნაწქალი. კაცმა არ იცოდა, ვინ ვის ეჩხუბებოდა. მალე რევოლვერი გავარდა და წაიქცა კოწია ღლონტი, რომელსაც ტყვია მარცხენა ყბას ქვეშ მოჰხვედროდა და მაღლა ტვინში ავარდნოდა. ამბობენ, ერთმა ძველმა მტერმა დრო უშოვა კოწიას და ესროლა რევოლვერით. ზოგი სხვას ამბობს, ერთის სიტყვით, კაცი სიმართლეს ვერ გამოარკვევს. არ იციან სწორედ, როგორ მოკვდა კაცი. ამ დროსვე ხანჯლით დასჭრეს მოკლულის ძმა ბარნაბაც.

მესხი ჟ. გვარამაძე.

კითხვა ბ-ნ Д. В—ъ-ს.

(წერილი ქუთაისიდან).

„O, sancta simplicitas!" კიდევ კარგი, რომ „Тифлисскій Листокъ"-ის მკითხველების ძლიერ ძვირი სტუმარი ხარ, თორემ ვინ იცის, რამდენ გულუბრყვილო ადამიანს თვალს აუხვევდა ბ-ნ Д. В—ъ-ის კრიმანჭული დითირამბი და უსაფუძვლო თავის მართლება, რომელიც მოთავსებული გახლავთ ამ პატივსან გაზეთის 29 მარტის ნომერში და მე კი დღემდის არ მინახავს, რომ ჯეროვანი პასუხი გამეცა.

თავი დავანებოთ ბ-ნ Д. В—ъ-ს ჩვეულებრივს უგბილო ირონიას, რომლითაც ავტორი უნტერ-აფიცრის ცოდვით თავის თავს უფრო იმათრახებს, ვიდრე სხვას. შევეხოთ წერილის ფაქტიურ მხარეს. ჩემს წინა წერილში აღნიშნული იყო, ქალაქს წარსულის წლის განმავლობაში ეკლარის ქვის მაღნიდან მთელი შემოსავალი ჰქონდა 2367 მან. და 60 კაპ.—თქო. ბ-ნს Д. В—ъ-ს თითქოს აკვირვებს ასეთი რაოდენობა და ამბობს: „ჩვენ მაინც არ ვიცით, საიდან აიღო ბ-ნს ავალიანს ეს ციფრი: ქალაქის გამგეობის საქმეებში შემოსავლად ნაჩვენებია სულ 1762 მან. და 60 კაპეიკი." მაგრამ არც ეს მოსწონს და უქმად სცდილობს დაამტკიცოს, მთელი წლის შემოსავალი 435 მ.ნ. და 47 კაპეიკი იყო (კიდევ კარგი, 35 მან. და 47 კაპ. მოუმატებია; წინათ 400 მანეთს ამბობდა!) და აი, თურმე რატომ არ მოსწონს: მას არ უნდა შემოსავლად ჩასთვალოს ქალაქისაგან მოტეხილი და საწყობებში გასაყიდათ დალაგებული ქვა; არ უნდა შემოსავლად ჩასთვალოს ის ქვა, რომელიც ქალაქს თავის საჭიროებისათვის მოუხმარია. საკვირველია, ღმერთმანი: ქალაქს რომ სხვაგან ეყიდა ქვა, ხომ ფულს მისცემდა! აფსუს, Д. В—ъ-ს ლოღიკავ! ეტყობა, ბუხჰალტერიას ძლიერ მწყრალად უყურებს! გარდა ამისა, შემოსავლად უნდა ჩაითვალოს ქალაქისაგან აშენებული მუშების სადგომები, ქვის სატეხი იარაღები, ეკლარის მმართველის საჯდომი ცხენი და სხ. (ნუ დაგავიწყდება ბ-ნს Д. В—ъ-ს, რომ ესენი ეხლაც აქვს ქალაქს)-ო, ეხლა ესენი რომ ფულად ვაქციოთ, მივიღებთ სწორედ 2367 მან. და 60 კაპეიკს, და არა 435 მან. და 47 კაპ. და ვისაც ანგარიშის რამე გაეგება, ეხლა ასე იანგარიშებს, როგორც შემოსავალს, ისე გასავალს. შემდეგ: მე მქონდა ნათქვამი, ეკლარის მართვაში 240 მანეთს ვიღებ-თქო; ბ-ნი Д В—ъ კი ისევ გაიძახის, 600 მანეთს იღებო. იმე, ასეთი ბავშური ლოღიკა ღმერთმა მტერსაც ნუ დამართოს! როგორ! სადორის აგარაკის მართვაში არაფერს მიბოძებთ, ბ-ნო Д В—ъ? იქნება, მე კიდევ სხვა რამ საქმეც მომანდეს და ჯამაგირიც მომიმატეს ამისთვის; ნუ თუ ამ მომატებულ ჯამაგირსაც ეკლარის ხარჯად ჩასთვლით? თუ საჭიროდ დაინახავთ, უთუოდ ასე ექმთ! ვსთქვათ, სადორის აგარაკის შემოსავალ-გასავალზე ჩამოვარდა ლაპარაკი; სრულიად დარწმუნებული ვარ, მაშინ ამ 600 მანეთს სტაცებდით ხელს და ერთიანად სადორის აგარაკის გასავალში ამოაკვრევინებდით თავს! რა ნაირად მაგონებს ამგვარი ოინები ზოგიერთ აბლაკატების ხრიკებს! მაგრამ ასეთი კრიმანჭულებით შორს ვერ წაბრძანდებით, ბ-ნო Д. В—ъ; საშინელი მოდიპული ნიადაგი გაქვთ ფეხ ქვეშ და ტლაკვანი არ მოადინოთ! ბარემ ისიც გეთქვათ წინანდელივით, ეკლარის მაღნის პირველ მოსაწყობად ქალაქმა 3800 მანეთი დახარჯა, 505 მანეთის მაგიერ; კარგი იქმნებოდა, გაგვეგო, ამ რაოდენობას რომელი ბუხჰალტერიით მიიღებდით! მაგრამ კიდევ ბარაქალა, რომ აქ მაინც გერცხვათ ცოტა და დამხრჩვალი კაცივით ხავსს არ მოეჭიდეთ; მე, სიმართლე მოგახსენოთ, ამასაც არ მოველოდი „Кутаисскія Замѣтки"-ს ავტორისაგან.

მაგრამ რაღა გავაგრძელო; მგონი, რაც დავწერე, ისიც non solum sapienti, sed etiam impudenti sat—თუ შეიძლება, ასე ითქვას. (ბ-ნი Д. В—ъ რომელების ადვოკატს ცეცეროს უნდა იცნობდეს, ისე უყვარს ლათინური ანდაზები, და, რომ გასიამოვნო, მეც ლათინურად გათავებ ჩემს წერილს. შემდეგში კი ღმერთმა დამიფაროს ასეთ კაცთან პოლემიკა).

დათიკო ავალიანი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 აპრილი

პეტერბურგი. „დობროვოლნი ფლოტის" კომიტეტის სადგომში საზღვაო სამინისტროს გამგესა და სხვათა თანდასწრებით გადაიხადეს პარაკლისი 25 წლის არსებობის გამო.

ლოზოვაია. გაატარეს ჩერნიგოვისკენ შერბინას გვამი. როდესაც მატარებელი გაჩერდა, მრავალ ხალხის თანდასწრებით გადაიხადეს პანაშვიდი.

იოკოჰამა. საკონსტიტუციო დასი და სამინისტრო შეთანხმდნენ. დასმა მთავრობის მოთხოვნილებანი უცვლელად უნდა მიიღოს. კანონპროექტს სამიწა-ადგილო გადასახადის შესახებ უთუოდ ცვლილებით მიიღებენ.

მოსკოვი. ხუთშაბათს ხელმწიფე მემკვიდრე ბრძანდებოდა მოსკოვის ტაძარში.—11 აპრილს ხელმწიფე-იმპერატორმა უმაღლესად დაათვალიერა მოსკოვის მეციხოვნეთა ჯარი: სათეატრო მოედანზე გამწკრივდა 40 ბატალიონი, ამაღლების მოედანზე—ცხენოსანთა ორი რაზმი; არტილერია იდგა ჩინეთის გალავანთან. ჯარს უფროსობდა დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე. ჯარის წინ იდგა კარავი, სადაც შევიდნენ დიდის მთავრის პავლე ალექსანდრეს ძის შვილები. მათ უდიდებულესობათ ხალხი აღტაცებით მიეგება. ხელმწიფე-იმპერატორი შებრძანდა ცხენზე, ხოლო დედოფალი ეტლში ჩაბრძანდა. ჯარის დათვალიერების შემდეგ, იგი საცერემონიო მარშისთვის მოემზადა. დედოფალი უავგუსტოეს დითურთ კარავში შებრძანდა. ჯარს მიუძღოდა დიდი მთავარი შტაბითურთ. ხელმწიფე-მემკვიდრე მიუძღოდა როსტოვის რაზმს, დიდი მთავარი—კიევისას. მთელმა ჯარმა გაიგონა ხელმწიფის „მადლობა". როდესაც მათი უდიდებულესობანი პარადიდან კრემლში წაბრძანდნენ, ხალხის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. კარგი ამინდი ხელს უწყობდა სურათს. შემდეგ კრემლის სასახლის ალექსანდრეს დარბაზში გაიმართა საუზმე, რომელზედაც მიიწვიეს ხელმწიფის ამალის წევრნი და სამხედრონი. გაშალეს ექვსი სუფრა.—საგანგებო მატარებლით ხელმწიფე მემკვიდრე ტვერში წავიდა.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. ფინანსთა მინისტრმა წარადგინა ბიუჯეტი. ხარჯი—143,954,000, შემოსავალი—154,770,000 გირვანქა სტერლინგი. რჩება 10,801,000, ამის გამო მინისტრმა წინადადება მისცა პალატას, შემოსავლის კვალობაზე გაწერილი გადასახადი შეამციროს გირვანქაზე 11 პენსამდე და გააუქმოს პურის ხორბლის შემოსატანი ბაჟი.

კონსტანტინოპოლი. ინგლისისა, საფრანგეთისა და იტალიის ელჩებმა მხარი დაუჭირეს მოთხოვნილებას რუსეთისა და ავსტრო-ჰუნგრეთის ელჩებისას, რომელთაც წარსულ პარასკევს მიჰმართეს სულთანს. გერმანიამაც მხნედ დაუჭირა მხარი ამ მოთხოვნილებას.

პარიზი. ინგლისელ ბანკირთა ჯგუფმა თანხმობა განუცხადა მაროკოს სულთანს, მისცეს სესხად $7^{1}/_{2}$ მილიონი ფრანკი. სესხი უზრუნველყოფილ უნდა იქმნას ტამოჟნის შემოსავლით.

ბელგრადი. 9 აპრილს შეიარაღებული ალბანელნი ორს ადგილას გადავიდნენ სერბიის საზღვარს, მოჰკლეს სერბიის დარაჯი და თავს დაესხნენ გლეხებს, რომელთაგან ორი მოჰკლეს. ამის გამო სერბიის მთავრობა ოსმალეთისას გამოელაპარაკა. ჰფიქრობენ, რომ ალბანელნი კიდევ დაეცემიან საზღვარს.

12 აპრილი.

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. ბიუჯეტის შესახებ ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, რომ სამხრეთ-აფრიკისა და ჩინეთის ომებზე სულ დაიხარჯა 217 მილიონ გირვანქა სტერლინგამდე. სახელმწიფო ვალი ამ ჟამად 770.778,000 გირვანქა სტერლინგს შეადგენს. მოსალოდნელია, სამხედრო ხარჯებმა იკლოს, მაგრამ ძლიერი ფლოტი ინგლისისათვის არსებითს საგანს შეადგენს: სანამ სხვისი ფლოტი ძლიერდება, მანამდე ბრიტანიის ფლოტიც სულ უნდა გაძლიერების გზას ადგეს. მინისტრმა გამოაცხადა, რომ პურზე ბაჟის მოსპობა 18 ივნისს (1-ლ ივლისს) შევა ძალაში.

კონსტანტინოპოლი მსოფლიო პატრიარქმა საჩივარი მისცა პორტას ბოლგარიის მთავრობაზე, რომელმაც ფილიპოპოლს, ბურგასსა, ვარნასა და ანხიალოში საეკლესიო ადგილები უკანონოდ დაისაკუთრა.

— ილდიზ-კიოსკმა, პორტამ და დიპლომატთა წარმომადგენლებმა კიდევ მიჰმართეს ბოლგარიის ეგზარხს: სამღვდელოების შემწეობით მაკედონელთა კომიტეტს ჩააგონეთ, რომ რაზმებმა უწესოება და ქადაგება მოჰსპონონ.

ბრომბერგი. უკანასკნელ ქარიშხალისაგან აღმოსავლეთ გერმანიაში 52 კაცი დაიღუპა.

მოსკოვი. მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი, ხელმწიფე მემკვიდრე და დიდი მთავარი მეუღლითურთ 10 აპრილს დიდს თეატრში ბრძანდებოდნენ წარმოდგენაზე. ანტრაქტის დროს საზოგადოების მოთხოვნით, ორჯელ შეასრულეს სახალხო ჰიმნი.

სოფია. სამხედრო მინისტრმა სავოვმა გამოაცხადა, რომ რჩება სამხედრო სასწავლებლის უფროსად.

პეტერბურგის ბირჟა 11 აპრილს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,05	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	37,45	
ლონდონზე ჩეკები	94,95	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	—	
ბირჟის დისკონტი	$5—6^{1}/_{2}\%$	
4% სახელმწიფო რენტა	$98^{3}/_{8}$	გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	101	მყიდვ.
$4^{1}/_{2}\%$ შინაგანი სესხი 1893 წ.	$100^{1}/_{4}$	„
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	$95^{3}/_{8}$	„
5% 1-ლი შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	437	გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ ბილ. 1866 წ.	335	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ მამ. ბანკისა	298	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—	
$4^{1}/_{2}\%$ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა.	—	
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	$91^{3}/_{4}$	„
$4^{1}/_{2}\%$ გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—	
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქციი	201	„

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლის № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდი: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.).; 3 სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკევობით) პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.)

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

სააავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოდ. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირიქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენჰაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულგულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მელიქოვის ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ფოთის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ამა 1903 წლის 30 აპრილს, 12 საათზე, გამგეობისავე თანადასწრებით, მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლის დროსაც სახელმწიფო და სახაზინო გადასახადების დარჩენილ ფულის შესავსებად გაიყიდება ქვემოდ დასახელებულთა უძრავი ქონება:

1) ჭილიაევისა მარიამ მიხეილის ასულისა: ცარიელი მიწის ნაჭერი, დაგეგმილი, ფოთში მდებარე, დიდს კუნძულზე პეტროვსკის სანაპიროზე, № 1114, ზომით 200 ოთხკუთხი საჟ. დარჩენილია გადასახადი 1 მან. 87 კაპ.

2) კაიდამაშნუკისა თეოდორესი: ცარიელი მიწა, დაგეგმილი, დიდ კუნძულის ნახიმოვის ქუჩაზე, ფოთში, № 888, ზომით 200 ოთხკ. საჟ. დარჩენილია 87 კაპ.

3) მგალობლიშვილისა ივანე კონსტანტინეს ძისა: ცარიელი მიწა, დაგეგმილი, დიდ კუნძულის როსტოვსკის ქუჩაზე მდებარე. ქ. ფოთს. № 878, ზომით 200 ოთხკ. საჟ. დარჩენილია 87 კაპ.

4) ჯალალოვისა ქსენია ალექსანდრეს ასულისა: ორი ნაჭერი ცარიელი მიწა, დაგეგმილი, დიდ კუნძულის მიხეილის ქუჩაზე მდებარე ფოთში, №№ 413 და 415, ზომით თითო ნაჭერი 200 ოთხკ. საჟ. დარჩენილია 7 მან. 35 კაპ.

5) კალანდაძისა ივანესი (იგივ ქიშვარდი): მიწის ნაჭერი, დიდის კუნძულის იალტისა და სინიავინის ქუჩების კუთხეში ფოთს. № 360, ზომით 200 ოთხკ. საჟ. შენობებით. დარჩენილია 30 მან. 74 კაპ.

6) კობა მიხაილაშვილის მემკვიდრეებისა და თავ. მანუჩარ ქობაქიძის მემკვიდრეებისა: ცარიელი მიწა, დაგეგმილი, დიდ კუნძულზე, ნიკოლოზისა და პოტემკინის ქუჩების კუთხეში, № 10, ზომით 200 კუთხი საჟ. დარჩენილია 1 მან. 89 კაპ.

7) ბურდღუ ფარცალავას მემკვიდრეებისა: ნახევარი იმ დაგეგმილ მიწის ნაჭრისა, რომელიც დიდ კუნძულზე ხილკოვის პროსპექტზე მდებარეობს ფოთში. № 86, ზომით 100 ოთხკ საჟ. შენობებით. დარჩენილია 4 მან. 18 კაპ.

8) ემანუელისა თეოდორ გასიძის ძისა: ორ ოთახიანი ხის სახლი, დიდ კუნძულზე, სევასტოპოლის ბულვარზე. იყიდება გასატანად მასალად 27 მან. 47 კაპ.

9) ვარლამ ლოლუას მემკვიდრეებისა: ცარიელი მიწა, დაგეგმილი, დიდ კუნძულზე ტაგანროგის ქუჩაზე ფოთში, № 620, ზომით 200 ოთხკ. საჟ. 27 მან. 47 კაპ.

10) ქობაჭიძესი ვლადიმერ მანუჩარის ძისა: ცარიელი მიწა, დაგეგმილი, დიდ კუნძულზე ოდესის სანაპიროზე ფოთში № 55, ზომით 270 ოთხკ. საჟ. 3 მან. 63 კაპ.

11) სოლომონ შაბურთავას მემკვიდრეებისა: ორი ნაჭერი მიწისა, დაგეგმილი, სინიავინსკისა და კერჩენსკის ქუჩების კუთხეში, №№ 582 და 584, ზომით 200 ოთხკ. საჟ. 1 მან. 46 კაპ.

12) მასლოვისა, ა. ნ. დაგეგმილი მიწა, დიდ კუნძულზე ოდესის სანაპიროზე. № 51, ზომით 200 ოთხკ. საჟ. 5 მან. 48 კაპ.

13) ნაკაშიძისა სოფიო ნიკოლოზის ასულისა: სამი ნაჭერი ცარიელი მიწა, დაგეგმილი, ოდესის სანაპიროსა და კაზარსკი ქუჩაზე, №№ 75, 76 და 77, ზომით 740 ოთხკ. საჟ. 4 მან, 43 კაპ.

14) დავით ერაგიას მემკვიდრეებისა: იმ დაგეგმილ მიწის ნახევარი, რომელიც მდებარეობს ხილკოვის პროსპექტისა და ლაზარევიჩევის ქუჩის კუთხეებში. № 236, ზომით 100 ოთხკ. საჟ. 1 მან. 44 კაპ.

15) ლიუბიმსკისა ვასილისა: დაგეგმილი მიწის ნაჭერი, დიდ კუნძულზე ნახიმოვის ქუჩაზე. № 641, ზომით 200 ოთხკ. საჟ. 5 მან. 17 კაპ.

16) ალექსანდრე ქაშმიშევის მემკვიდრეებისა: დაგეგმილი მიწის ნაჭერი, დიდ კუნძულზე ნახიმოვის ქუჩაზე. № 333, ზომით 200 ოთხკ. საჟ. 6 მან. 39 კაპ.

17) ბატრაკოვისა ანტონ სტეფანეს ძისა: მიწის ნაჭრის ნაწილი, რომელიც მდებარეობს გურიის ქუჩაზე მე-LXVII უბანში. № 822, ზომით დაახლოვებით 130 ოთხკ. საჟ. 1 მან. 87 კაპ.

18) ჯორბენაძისა ალექსანდრე დანიელის ძისა: დაგეგმილი მიწის ნაჭერი, პანაცოვსკის ქუჩაზე მე-LIX უბანში, № 606, ზომით 338 ოთხკ. საჟ. 66 კაპ.

19) ქერეჯოღლის მემკვიდრეებისა: დაგეგმილი მიწის ნაჭრის ნაწილი, ლაზარევიჩის ქუჩაზე, მე-XXII უბანში, № 222. ზომით დაახლოვებით 130 ოთხკ. საჟ. 1 მან. 87 კაპ.

20) ყიზირიასი გოგიასა და პავლესი: ორი დაგეგმილი მიწის ნაჭერი, ისტომინის ქუჩაზე დიდ კუნძულზე, №№ 485 და 487. ზომით თითო 200 ოთხკ. საჟ. 3 მან. 63 კაპ.

21) რურუასი გიორგისა: იმის დაგეგმილ მიწის ნაჭრის ნაწილი, რომელიც მდებარეობს დიდ კუნძულზე ხილკოვის პროსპექტზე, № 88. ზომით 100 ოთხკ. საჟ. 3 მან. 76 კაპ.

22) კაპლატაძისა ვახტანგ ბიჭიას ძისა: ორი დაგეგმილი მიწის ნაჭერი, დიდ კუნძულზე, ფეოდოსიისა და ლეფორტოვის ქუჩებზე, №№ 50 და 503. ზომით თითო 200 ოთხკ. საჟ. 9 ოთახიან ხის სახლით 77 მან. 70 კაპ.

23. თუმანოვისა ალექსანდრესი: დაგეგმილი მიწის ნაჭერი, ისტომინის ქუჩაზე დიდ კუნძულზე, № 21. ზომით 150 ოთხკ. საჟ. 3 მან. 63 კაპ.

24) ზურაბ გაბუნიას მემკვიდრეებისა: ნაწილი ორ დაგეგმილ მიწის ნაჭრისა, იალტის ქუჩაზე დიდ კუნძულზე. №№ 465 და 470. ზომით დაახლოვებით 200 ოთხკ. საჟ.—89 კაპ.

25) მიხეილაშვილისა აბრამისა და ისაკის მემკვიდრეთა: 8 ცალიერი დაგეგმილი ნაჭრები, როზენის ქუჩაზე მე-IXXXI უბანში №№ 799, 800, 801, 802. 803, 804, 805 და 806. ზომით 4941, 85 ოთხ-კუთხ. საჟენი 3 მ. 61 კაპ.

26) ტერ-შმოვანოვის მემკვიდრეებისა: დაგეგმილი ნაჭერი, სომხებისა და საეკკლესიო ქუჩებზე, მე-VI უბანში, № 61, ზომით დაახლოვებით 611 ოთხ-კუთხ. საჟენი 9 მ. 26 კ.

27) თურქიასი ლაზარ დავითის ძისა: სამი დაგეგმილი ნაჭერი, ლაზარევიჩევის, ბარიატინსკის და ზღვის ქუჩებზე, მე-XIII უბანში, №№ 115, 116 და 117, ზომით ვარაუდით 2350 ოთხ-კუთხ. საჟენი ხის ფარდულით. 11 მ. 49 კ.

28) შართავასი პეტრე გაბრიელის ძისა: ხის სახლი, ერთი განყოფილება, როზენის ქუჩაზე, ასაღებად 86 კ.

29) შუშანიასი, ივანესი: ხის სახლი ასაღებად, მდებარეობს მირსკის ქუჩაზე, ნაჭერი № 843. 87 კ.

30) მაჭავარიანისა ივანესი: ცალიერი დაგეგმილი ნაჭერი, როზენისა, საეკკლესიო და ბარიატინსკის ქუჩაზე, მე-XIV უბანში, № 122, ზომით 6901 ოთხ-კუთხ. საჟენი 3 მ. 61 კ.

31) ჩიტაიასი სპირიდონისა და ესიძის მემკვიდრეთა: დაგეგმილი ნაჭერი, ლიალინის ქუჩაზე, მე-XXXIII უბანში, № 440, ზომით დაახლოვებით 240 ოთხ-კუთხ. საჟენი. 87 კ.

32) შავროვისა ნიკოლოზისა: დაგეგმილი ნაჭერი, ლევაშოვის წყლის პირის ქუჩაზე, მე-XII უბანში, № 112, ზომით 520 ოთხ-კ. საჟენი. 7 მ. 21 კ.

33) შაფათავასი ბართლომესი: ცალიერი ნაჭერი, მილიუტინის ქუჩაზე, მე-IXXVIII უბანში, № 738, ზომით დაახლოვებით 450 ოთხ-კ. საჟენი 30 კ.

34) ავგერინოსა, არისტიდ თემისტოკლიდის ძისა: ერთი სართულიანი ხის სახლი, რკინით დახურული, 7 ოთახიანი სამზარეულოთი და ჩარდახით, ნაჭერი № 81, როზენის ქუჩაზე, სახლი იყიდება ასაღებად 89 მ. 19 კაპ.

35) სოშტარიასი პელაგია პეტრეს ასულისა, ხის ფლიგელი, 4 ოთახიანი, ლიალინის ქუჩაზე იყიდება ასაღებად 44 მ. 67 კ.

36) ალანიასი, დარია იაკობის ასულისა: ერთ-სართულიანი ხის სახლი, რკინით დახურული, 7 ოთახიანი სამზარეულოთი, № 55, მე-IV უბანში საეკკლესიო ქუჩაზე, სახლი იყიდება ასაღებად 45 მ. 72 კ.

37) ანთაძესი ზუბალოსი: ხის თავლა ორ-განყოფილებიანი, გაგარინის საწყლის-პირო ქუჩაზე, იყიდება ასაღებად 1 მ. 42 კ.

38) გამბაროვისა სტეფანესი მემკვიდრეებისა და ნიკოლოზ ზელინოვის მემკვიდრეებისა: ოთხი დაგეგმილი ნაჭერი, ზღვის ქუ-

ჩაზე, მე-53 უბანში, №№ 526, 528, 530, და 532, ზომით 1040 ოთხ-კ. საჟენი 2 მ. 93 კ.

39) გოდოვანიშა ვასილისა და ოსიფ დუკაშვიზის მემკვიდრეებისა: ხის სახლი ასაღებად სომხების ქუჩაზე, მე-VI უბანში, № 467 3 მ. 61 კ.

40) დედანტისა ბებურისა: ძველი ხის შენობა, ნაჭერი № 208, ლაზარევიჩევის ქუჩაზე, იყიდება ასაღებად—3 მ. 61 კ.

41) გურჯაისა სიმონის მემკვიდრეთა: ხის სახლი, ოთხ-ოთახიანი სამზარეულოთი, ნაჭერი № 892 ციციშვილისა და ორბელიანთ ქუჩების კუთხეში, მე-95 უბანში, იყიდება ასაღებად 1 მ. 87 კ.

42) დოდიძისა ივლიანისა: ხის სახლი ქალაქის ადგილზე იყიდება ასაღებად 87 კ.

43) ქედიგუდაშვილის აბრამის მემკვიდრეთა: ორი ხის სახლი, საცა თორაა, ასაღებად 9 მ. 18 კ.

44) ივანე გრიგორიასი: ერთ-სართულიანი ქვის სახლი, ყავრით დახურული 5 ოთახიანი, ერთ ნაჭერ მიწით ქარხნის ქუჩაზე, მე-XX უბანში, № 197, ზომით დაახლოვებით 300 ოთხ-კ. საჟენი 2 მ. 61 კ.

45) ითდონის ავდოტიას მემკვიდრეთა: ძველი ხის სახლი ასაღებად, სომხების ქუჩაზე, მე-XIV უბანში, № 657, 87 კ.

46) კვირიკელიასი გიორგი მღვდლისა: ერთ-სართულიან ქვის სახლი, 3 ოთახიანი, სომხების ქუჩაზე, ნაჭერ-მიწით მე-XIX უბანში, № 180, ზომით დაახლოვებით 260 ოთხ-კ. საჟენი 5 მ. 70 კ.

47) სმირნოვასა დიმიტრის მემკვიდრეთა: ერთ-სართულიანი ქვის სახლი, 6 ოთახიანი, სომხების ქუჩაზე, ნაჭერ-მიწით მე-VII უბანში, № 71, ზომით დაახლოვებით 700 ოთხ-კ. საჟენი 54 მ. 62 კ.

48) სარიშვილისა სიმონისა: ხის სახლი ასაღებად, უსახელო ქუჩაზე, ნაჭერი № 1161, 1 მ. 42 კ.

49) საბანტარიშვილისა სოლომონისა მემკვიდრეთა: ძველი ხის სახლი ასაღებად, რაჭის ქუჩაზე, ნაჭერი № 438, 1 მ. 87 კ.

50) რუსიასი, დიმიტრი მათეს ძისა: ხის ბუდკა ასაღებად, უსახელო ვიწრო ქუჩაზე, მე-51 უბანში, № 508, 87 კ.

51) რთრუასი, ირინე დიმიტრის ასულისა: ძველი ხის სახლი ასაღებად, გურიის ქუჩაზე, მე-17 უბანში, № 912, 1 მ. 87 კ.

52) ფრანგიშვილისა, მელანია პეტრეს ასულისა: ხის სახლი 4 ოთახითა და სამზარეულოთი, კოლხიდის ქუჩაზე, მე-65 უბანში, № 660, ასაღებად 2 მ. 31 კ.

53) ფანცულაიასი, ალექსი საბას ძისა: ხის ბუდკა, არმიანსკი ქუჩაზე, მე-97 უბანში, № 907, ასაღებად 1 მ. 42 კ.

54) ნანუას (იოსების) მემკვიდრეებისა: ხის სახლი, ასაღებად, არმიანსკი და მილიუტინის ქუჩაზე, № 785, 1 მ. 47 კ.

55) ნადარაიასი, ანტონისა: ხის სახლი, ასაღებად, როზანის ქუჩაზე, № 595, 86 კ.

56) მაიკოვისა, დიმიტრი ივანეს ძისა: ხის სახლი ორის ოთახით, № 570, ისყიდება ასაღებად 1 მ. 87 კ.

57) ქუცაისი, აგიასი: ერთ სართულიანი ხის სახლი, ასაღებად, ბებუთოვის ქუჩაზე, № 696, 66 კ.

58) ქუცაისი, ნიკ. დავ., ერთ სართულიანი ხის სახლი, 5 ოთახით და სამზარეულოთი, უკოპორჩინის ქუჩ., უბ. XXI, № 213, ისყიდება ასაღებად 13 მ. 92 კ.

59) კოდოშვილისა, ალექსის: ხის სახლი, ასაღებად, ველიამინოვის ქუჩაზე, ქალაქის მიწაზე, 86 კ.

60) მაკალათიასი, ერისტო ბერიკის ძისა: ხის სახლი 2 ოთახით, ასაღებად, არღუთინსკის ქუჩაზე, ქალაქის მიწაზე—1 მ. 42 კ.

61) რუვინოვისა. ალექსანდრე მიტრ. ძისა: ხის სახლი, ლევაშოვის ნაპირა ქუჩაზე № 517, ისყიდება ასაღებად—1 მ. 87 კ.

62) ხარბედასი, დიმ. გიორგის ძისა: ხის სახლი, ციციანოვ. და მირსკოის ქ.ქ. კუთხეში, № 668 და 667, ასაღებად—3 მან. 17 კაპ.

63) უზუნას (გიორგის) მემკვიდრეთა: ხის სახლი, 3 ოთახით, ლევაშოვის ნაპირა ქუჩაზე, №№ 551,553, ასაღებად—87 კ.

64) უგრე მოშეს მემკვიდრეთა: ხის სახლი, 4 ოთახით, გურიის ქუჩაზე, № 189, უბანი XX, ასაღებად—3 მ. 17 კ.

65) ტუღუშისა, კაცია ბიჭიას ძისა: ხის სახლი, 2 ოთახ., უსახელო ვიწრო ქუჩაზე, № 493, ასაღებად—1 მ: 87 კ.

66) თურქიასი, მაქს. ქუჩუს ძისა: ხის სახლი, სამზარეულოთი, გურიის ქუჩაზე, № 1067, ასაღებად—4 მ. 59 კ.

67) თორზინავასი, ვასილისა: ხის სახლი, ციციანოვისა და კოლხიდის ქ.ქ. კუთხეში, № 582, ასაღებად—2 მ. 7 კ.

68) ტრიასონის, მართა გრიგოლის ასულისა: ხის სახლი, 3 ოთახ., უსახ. ვიწრო ქუჩაზე, დიდის კუნძულის ნაწილზე, № 53, ისყიდება ასაღებად—4 მ. 18 კ.

69) სმიროდონოვის მემკვიდრეთა: ხის სახლი, 8 ოთახით, არმიანსკი ქუჩა, № 69, ასაღებად—13 მ. 68 კ.

70) ჩიქოვანის დარიასი: ხის ფარდული, 2 განყ., მორსკოი ქუჩ., № 80, ისყიდება ასაღებად—1 მ. 42 კ.

71) იუნოშასი, ალექ. პავლეს ძის მემკვიდრეთა: ქვითკირის სახლი, 3 ოთახით, როზანის ქ., უბ. 57, № 584, ზომით დაახლოვებით 338 ოთხკუთხი საჟ.—23 კ.

72) ჩაჩუასი, დიტო ნიკ. ძისა: ხის სახლი, კოლხიდის ქ., № 706, ისყიდება ასაღებად —1 მ. 42 კ.

73) ბაბილუასი როსტომისა: ხის სახლი, 4 ოთახით, ხილკოვის პროსპექტზე, № 295, ასაღებად—10 კ.

74) ნოდიასი, მარკოზის: ხის სახლი, ლაზარევიჩის ქუჩაზე, № 208, ისყიდება ასაღებად—19 კ.

75) ჩაჩავას ზურაბის მემკვიდრეთა: ხის ბუდკა, არღუთ. ქუჩაზე, ქალაქის მიწაზე, ასაღებად—1. მ. 47 კ.

76) ტყებუჩავას თეკლესი: ხის სახლი, 4 ოთახითა და სამზარეულოთი, გურიის ქ., № 925, ასაღებად—19 კ.

77) ჩიქოვანისა პახურიასი: ხის სახლი, ასაღებად, არღუთინსკის ქუჩაზე, ქალაქის მიწაზე—19 კ.

78) ფაჩულიასი, ალექ. ქუჩუს ძისა: ხის სახლი, ლევაშ. ქუჩაზე, № 113, ასაღებად—1 მ. 42 კ.

79) აგვერინთ, ნიკოლოზ, ეპამინონდ და მარიამისა: ორ-სართ. ქვითკ. სახლი, 9 ოთახით, მიხეილის ქუჩაზე, უბ. VIII, № 83, მიწა ზომით 300 ოთხკუთხი საჟ.—54 მან. 90 კაპ.

80) კაჭარავასი, იაგორა მარკოზის ძისა: მიწის ნაჭრის ნაწილები გურიის ქუჩაზე, CXVII უბანში № 1065, 240 ოთხკ. საჟ., ხის სახლი 2 ოთახი—1 მ. 9 კ.

81) თუხარელისა ივანესი: დაგეგმილი მიწა, ლაზარევიჩევის ქუჩაზე, XX უბანში, 200 ოთკ. საჟ.—1 მ. 87 კ.

82) ზუბალოვის მემკვიდრეებისა, აწ სოფიო შოსტისა: დაგეგმილი მიწა, ხის ფარდული, ციციანოვის ქუჩაზე, LXVIII უბანში, 260 ოთხკ. საჟ. № 666—39 კ.

83) შერთავასი თედო: ნაწილები დაგეგმილ მიწის ნაჭრისა კოლხიდის ჩუჩაზე, 57 უბანში, № 585, 140 ოთხკ. საჟ.—1 მან. 42 კაპ.

84) ფირცხალაშვილის გიორგისა: სადუქნე ადგილი, ლაზარევიჩისა და ზავოდის ქუჩების კუთხეში, XXI უბანში, № 208, 40 ოთხკ. საჟ.—21 კ.

85) წურწუმიასი, აიგონა ბულატის ძისა: ხის ბუდკა ქალაქის მიწაზე, ველიამინოვის ქუჩაზე, ასაღებად—78 კ.

86) ხოშტარიასი, მიხეილ იოსების ძისა: ხის ბუდკა ქალაქის მიწაზე, ბებუთოვის ქუჩაზე, ასაღებად—1 მ. 42 კ.

87) აგბუნოვისა, ანდრია კარპეს ძისა (აწ ევდოკია ლომაიასი): ხის სახლი სამზარეულოთი სომხის ქუჩაზე, IXV უბანში, № 653, ასაღებად—3 მ. 17 კ.

88) ტერ-კაზაროვის გრიგოლისა: ძველი ხის სახლი, მორსკოი ქუჩაზე, XI უბანში, № 101, ასაღებად—1 მ. 87 კ.

89) ქოქაიასი პეტრესა: ხის სახლი პატემკინის ქუჩაზე, დიდი კუნძული—3 მ. 63 კ.

90) უნდაძისა მასიკოსი, დაგეგმილი მიწის ნაჭერი, იალტის ქუჩაზე, დიდი კუნძული № 300, 2000 ოთხკ. საჟ.—87 კ.

91) კუპრაძე მიხეილისა (აწ თავ. მანუჩარ გიორგის ძის ჯაიანისა): მიწის ნაჭერი ბერდიანის ქუჩაზე, დიდი კუნძული, № 857, 200 ოთხკ. საჟ. ხის შენობა—1 მ. 14 კ.

(3—1)

სამოსწავლო-საფუტკრო

ვასილ ალექსანდრეს ძის საბოლსი ტფილისს, დიდუბეში, ქუთაისის ქუჩაზე, № 17. უფასოდ მიიღებიან პრაქტიკანტები მეფუტკრეობის შესასწავლად; აგრეთვე ყველა სურველს ეძლევა უფასოდ დარიგება მეფუტკრეობის შესახებ. მსურველს შეუძლიან წინანდელის პირობით ფასით დაიკვეთოს ხელოვნურად მომზადებული ფიტი, აგრეთვე შეუძლიან იყიდონ თაფკრიბი. (1—1)

დაიბეჭდა და ისყიდება

ყველგან ქართულ მაღაზიაში ახალი ქართული წიგნი

დიდი მოურავი
გიორგი სააკაძე

გ. ხუნუაშვილისა

ჰღირს 80 კ. ვინც ოც ანუ ოც ცალზე მეტს იყიდის, იმას თითო წიგნი დაეთმობა ათ შაურად. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ქართველთა ამხანაგობის სტამბაში გალოსტა შიხიაშვილს. (5—5.—1)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო რა ღებულობს. (0—20)

ვარდისფერი
ბროლისებური **საპონი**
№ 4711

ამ საპონში **ბევრი გლიცერინია.**

რადგან ბევრი ქაფი იცის, ამიტომ
ყაირათიანია.

ვარდის საუცხოვო
სუნნელება აქვს.

აი თვისებანი, რომელნიც **საუკეთესოდ** ხდის ამ საპონს.

ფერდ. მიულგენსი

კოლოკოლნაია № 4711 კელნსა
და რიგაში.

(მც. 2.—7)

ამ წლის მაისის თვეში ტფილისში გაიმართება **„ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების"** სასარგებლოდ

სახალხო სეირნობა

საქველმოქმედო ბაზრითურთ.

შემოწირულებათა გამოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, (ნიკოლოზის ქუჩა, № 21) ან ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში (სასახლისქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა). (0—9)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	|
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
დედის დაყენება პრ. თავეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძ. მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა.	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ყველა წიგნები იყიდება ქუთაისში, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

გამოვიდა და იყიდება

ყველგან

„ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების" მიერ

ახლად გამოცემული წიგნი

ბარტეკ ძლევამოსილი

ჰენრიკ სენკევიჩისა

IV+106 გვ.

ფასი 20 კაპ. (უ. 3—1)

წიგნების გამომცემელ ამხანაგობის
კიოსკში

იყიდება 1903 წლის

კალენდრები

1) კედ. კალენდარი ფასი 40 კ.; 2) საქართველოს კალენდარი გუნიასი—60 კ. უყდოდ და 70 კაპ. ყდით. 3) პატარა ჯიბის კალენდარი—20 კ. 4) ჩარკვიანის გამოც. კედლის კალენდარი 40 კაპ.

შეიძლება ფასდადებით გაიწეროთ: Тифлисъ, Грузинское Издательское Т—во, ლორის-მელიქოვის ქუჩა.

დაიბეჭდა და დაურიგდა გასასყიდად ყველა წიგნის მაღაზიებს

ახალი წიგნი

„ჩვენს დედებს"

პედაგოგიური წერილები ალექ. ნათაძისა

ფასი ხუთი შაური.

ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა ალ. ივ. ნათაძეს. (უ. 0—10)

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტფილისში

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების" ქვეშ).

ტელეფონი № 741.

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად დილს 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი მზა წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებელი ნივთიერება, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და პირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბორატორიისთვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის სღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ.-და-სხვა.

ადრესი ფოსტისა და ტელეგრამისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ. (100—21)

Дозв. ценз. Тифлисъ, 12 апрѣля, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)